# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი-სამშაბათი, 10-11 ოქტომბერი. 2022 წ. №159 (9497) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


სქემა მარტივია – გასაყოფი არის ქონება და ფული, რაც კეზერაშვილის ხელშია. კეზერაშვილს აქვს რეალური ფინანსური ძალაუფლება და ახლა უნდა, რომ ეს ფინანსური ძალაუფლება გამოიყენოს პოლიტიკურშიც.

ანუ მელია გვერდზე გაწიოს და პარტიის მთავარი ფიგურა გახდეს სწორედ კეზერაშვილის დაჯგუფება. თოფურიძეც აქეთ მხარეს არის.







## ბრძოლა პარტიული „ობშჩიაკისთვის“

4

## ნანა კაკაბაძე: პიროვნებაზე კანონის მორგება ბოლშევიზმის გარდა, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს



6

**ოპოზიცია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არსში ვერ ერკვევა**

## თამარ ჩერგოლეიშვილი: სააკაშვილი თუ თვითონ არ იქნება, მისთვის საინტერესო არაა ეს ქვეყანა...

2

## მილიტარიზმის პატრიარქი



5

## ვინ არის „პუტინის საკურთხევლის ბიჭი“

## ფონდი „ქართუ“ განცხადებასავრცელებს

## ამ პროექტში ფონდი „ქართუს“ მონაწილეობის მთავარი მიზანია ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა და სიცოცხლის გადარჩენა

**ბოლო დღეებში პოლიტიკურად ანგაჟირებული მედიასაშუალებებით გავრცელდა ყალბი და უშინაარსო სიუჟეტები ფონდ „ქართუს“ მიერ კომპანია „სულაჟერში“ წილების შეძენისა და ბიზნესმენ დავით ხიდაშელთან ვითომდა ფარული და საეჭვო გარიგებების თაობაზე,** – ამის შესახებ აღნიშნულია ფონდი „ქართუს“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**„ფონდი ათწლეულების განმავლობაში ახორციელებს საქველმოქმედო პროექტებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით და გვერდში უდგას ქართულ საზოგადოებასა და სახელმწიფოს, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის სფეროში. 2020 წელს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს თავს დაატყდა პანდემია (კოვიდ-19), რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მკვლევრებმა და მეცნიერებმა მთელ მსოფლიოში დაიწყეს მუშაობა აღნიშნული ვირუსის წინააღმდეგ სამკურნალო საშუალების შესაქმნელად. ამ პროცესს არ ჩამორჩნენ ქართველი მეცნიერებიც. ფონდი „ქართუ“ დარჩა თავისი პრინციპების ერთგული და დახმარების ხელი გაუწოდა მათ ამ კვლევების ბოლომდე მისაყვანად.**

**მედიაში ატეხილი მორიგი დეზინფორმაციული კამპანიისა და საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლით განვმარტოთ:**

**არსებობს ძალზედ პერსპექტიული ანტივირუსული მცენარეული პრეპარატი, რომლის ავტორია ქართველი მეცნიერი ალექსანდრე თავართქილაძე. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ შექმნილი პრეპარატი „სულაჟერი“ მაღალეფექტურია როგორც საკუთრივ „კოვიდ-19-ის“, ისე სხვა ტიპის ვირუსებთან მიმართებაში. ამჟამად მიმდინარეობს კომპლექსური ლაბორატორიული და კლინიკური კვლევები, რომელთა მიზანია აღნიშნული პრეპარატის ეფექტურობის საბოლოო დადგენა, მასიურ წარმოებაში გაშვება და მომხმარებლამდე მიტანა. ამ გეგმის განხორციელების პირველ ეტაპზე ჩართული იყო ქართველი მეწარმე დავით ხიდაშელი, რომელსაც გააჩნია დიდი გამოცდილება და მრავალწლიანი პრაქტიკა ამ სფეროში. მოგეხსენებათ, რაოდენ რთული და ძვირადღირებულია ფარმაცევტული კვლევების წარმოება. სწორედ ამ სირთულის გამო ჩაერთო ფონდი „ქართუ“ აღნიშნულ პროექტში.**

**ხაზს ვუსვამთ – ამ პროექტში ფონდი „ქართუს“ მონაწილეობის მთავარი მიზანია ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა და სიცოცხლის გადარჩენა. ფონდი კანონმდებლობის სრული დაცვით აფინანსებს ხსენებულ კვლევებს. ერთობლივი ძალებით ვცდილობთ, პაციენტებისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ აღნიშნული პრეპარატი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.**

**რაც შეეხება ფონდის მხრიდან კომერციულ საწარმოებში წილის ფლობას და მათი საქმიანობის შედეგად შემოსავლის მიღებას, ეს სრულად შეესაბამება როგორც საერთაშორისო გამოცდილებას, ისე ქართულ კანონმდებლობას. ამით მიღებული შემოსავალი და დივიდენდი ისევ ფონდის საქველმოქმედო მიზნებს ხმარდება, მისი პროექტებისა და პროგრამების დაფინანსებას“,** – ნათქვამია განცხადებაში.

## კახა კალაძე: ლევან თედიაშვილს სახელმწიფო და ფონდი „ქართუ“ ეხმარება, მზად ვარ, მეც გვერდით დავუდგე



დედაქალაქის მერი **კახა კალაძე** მედიასთან საუბრისას გამოეხმაურა ცნობილი ქართველი მოჭიდავის **ლევან თედიაშვილის** შესახებ სოციალური ქსელებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ლეგენდარული სპორტსმენი სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებოდ არის მიტოვებული.

**„რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ ბატონ ლევანს ფინანსურად ეხმარება. ზუსტი თანხა ზუსტად არ ვიცი, მგონი, ეს არის 1 500 ლარი ყოველთვიურად. გარდა ამისა, სახელმწიფოს მხრიდან მას აქვს 2 000 ლარის ოდენობის ყოველთვიური დაფინანსება. თუ რაიმე დამატებით არის საჭირო, პირადად მე მზად ვარ, ხელი შევუწყო, გვერდში დავუდგე ამ ადამიანს. ასევე მზადყოფნაშია თბილისის მუნიციპალიტეტიც“,** – განაცხადა კახა კალაძემ.



## ჯუანშერ ბურჭულაძე: იქ, სადაც წარმატება გვაქვს, იმ მოვლენებსა და ინსტიტუციას ებრძვიან

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა **ჯუანშერ ბურჭულაძემ** ტელეკომპანია „იმედის" ეთერში საუბრისას განაცხადა, რომ თავდაცვის ძალებში ყველა გადაწყვეტილების უკან კარგად გააზრებული ნაბიჯები დგას, რომელიც პარტნიორებთან ერთადაა გავლილი და გადაწყვეტილებები კოლექტიურად არის მიღებული.

**„ებრძვიან იმ ინსტიტუციას, რომელიც სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით და თქვენ იცით, რომ ჯარს ერთ-ერთი მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა. პირადად ჩემს დისკრედიტაციას აღარ შევეხები, ეს აბსურდების კასკადი, რაც მოაწყვეს არავისთვის დამაჯერებლად არ ჟღერს და არც ჩანს. მე ვფიქრობ, რომ ამის მომწყობები საკუთარი თავის დისკრედიტაციას ახერხებენ.**

**იმ ექსპერტებს, რომლებიც საუბრობენ, თუ რა პრიორიტეტები უნდა გვქონდეს ჯარში, შემიძლია ვუთხრა: როგორც თვითონ არიან დისკრედიტირებული ადამიანები და ჯარში არანაირი რეპუტაციით არ სარგებლობენ, საკუთარ თავს კიდევ ერთხელ აზიანებენ. ჯარი არ არის ის უწყება, რომ შეცვალო ჯარისკაცი, ოფიცერთა შემადგენლობა და მოიყვანო სხვა უწყებიდან შენთვის მისაღები პირები.**

**აქ ხალხი მუშაობს, არიან გენერლები, ოფიცრები, ის ჯარისკაცები, რომლებიც იბრძოდნენ აფხაზეთის, სამაჩაბლოს ომში და ა.შ ამიტომ, ყველა გადაწყვეტილების უკან დგას კარგად გააზრებული ნაბიჯები, რომელიც გავლილია პარტნიორებთან და გადაწყვეტილებები მიღებულია კოლექტიურად",** — განაცხადა მინისტრმა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, უწყების სამომავლო გეგმებზე საუბრისას აღნიშნა, რომ ჯარისკაცების ბინებით უზრუნველყოფა გაგრძელდება და პროექტი უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

**„ვფიქრობთ, რომ პროგრამა უფრო ფართო წრის შემადგენლობაზე გავრცელდება, სავარაუდოდ, მას სხვა კრიტერიუმითაც განვავრცობთ. ანალოგიურ პროექტს დავიწყებთ უახლოეს წლებში და დაახლოებით იმავე რაოდენობის სამხედრო მოსამსახურეს დავაკმაყოფილებთ",** — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

**ამჟამად მახათას მთაზე „ჯარის ქალაქის" მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა, პროექტი წარმატებით ხორციელდება და საცხოვრებელი ბინები ოფიცრებს წლის ბოლომდე გადაეცემათ. „ჯარის ქალაქში" 115 000 კვადრატული მეტრის ფართობზე, 39 კორპუსის მშენებლობა სწრაფი ტემპითა და მაღალი ხარისხით შესრულდა.**

## ახალი პროექტი - ევროპული ტიპის სოფელი

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის განვითარების სააგენტოს, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ჩართულობით, ახალი, ეგრეთ წოდებული, ლიდერ პროგრამა მომზადდა.**

სოფლის განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, პროგრამა ევროპული ტიპის სოფლის განვითარების მოდელს ითვალისწინებს და გულისხმობს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისგან ფორმირებული ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ინსტიტუციურ ჩართვას პროგრამის განხორციელების პროცესში.

კერძოდ, ადგილობრივი განვითარების სტრატეგიულ ხედვაზე დაყრდნობით, მათ მიერ შერჩეული პროექტები დაფინანსდება მეწარმეობის განვითარების, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების, ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის განვითარებისა და ინოვაციების მიმართულებებით.

**„ჩვენთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ახალი პროგრამა, რომლის განხორციელება 2023 წლიდან დაიწყება, სრულად აპრობირებული იქნება ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ პროგრამებთან, რაც გულისხმობს, ადგილობრივი მოსახლეობის უშუალო ჩართულობით იმ მიმართულებების განსაზღვრას, სადაც ამა თუ იმ მუნიციპალიტეტს სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება",** — განაცხადა სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორმა, ილია თამარაშვილმა.

## სოფლის მეურნეობის სექტორში ბიუჯეტი იზრდება

**საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტით, ბიუჯეტი სოფლის მეურნეობის სექტორში 15.7%-ით გაიზარდა. გაზრდილი ბიუჯეტი შეეხება მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამასაც.**

ბოლო წლებში, სახელმწიფო პროგრამების ხელშეწყობით, **ათი ათასობით ჰექტარზე თანამედროვე მრავალწლოვანი ბაღები გაშენდა; ხელი შეეწყო ერთწლოვანი კულტურების მოყვანას; წლიდან წლამდე, ბაღები შედის მსხმოიარობაში, მზარდია მოთხოვნა მოსავლის ამღებ ტექნიკაზე, მათ შორის, კომბაინებზე, რომელიც ერთ-ერთი ძვირადღირებული ტექნიკაა. მიღებული მოსავლის აგროვადებში აღება-დაბინავების ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანია, ფერმერებისთვის გაიზარდოს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა როგორც მრავალწლოვანი, ასევე ერთწლოვანი კულტურების მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის მიმართულებით.**

**2020-2021 წლებში, „მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის" ფარგლებში, 408 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაა შეძენილი, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსებამ 13,102,926 ლარი შეადგინა.**



## იქნებ ჩერგოს მაინც დაუჯეროთ ნაცებო!...

### თამარ ჩერგოლეიშვილი:

# სააკაშვილი თუ თვითონ არ იქნება, მისთვის საინტერესო არაა ეს ქვეყანა...



„2000 წელს წასული, საქართველოში, 2006 წელს დავბრუნდი სამუშაოდ. სააკაშვილს 1996 წლიდან ვიცნობდი, არასოდეს მასთან არანაირ სუბორდინაციაში არ ვყოფილვარ და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც, ისეთ წრეში ვხვდებოდი, სადაც უმეტესობა თანასწორად მიიჩნევს და შენობით ელაპარაკება. ამიტომ, მე მისი პიროვნების კულტის ელემენტს ვერ ვხედავდი — ჩემს წრეში ეს არ იგრძნობოდა.

რამდენადაც მშვიდობიანობის დროს შეიძლება ნერვები დაგაგლიჯო, სტრესულ ვითარებაში დამამშვიდებელი გავლენა მაქვს — უკულმართი ხომ ვარ. ამიტომ, არჩევნები რომ წავაგეთ, პირველი კვირების განმავლობაში ხშირად ვნახულობდი ხოლმე.



წაგების შოკისგან, პირველი სამი კვირა უცნაურად ფხიზელი იყო, თვითკრიტიკული — ბევრს ვლაპარაკობდით იმაზე, რაც მოხდა, რატომ მოხდა.

ჩემი რჩევა იყო, რომ რეალობისთვის თვალი გაესწორებინა — გაეაზრებინა რომ ტოქსიკურები ვართ, მოცემულობად მიეღო ეს ფაქტი და მხოლოდ ამ მოცემულობის მიღების შემდეგ დაეწყო ფიქრი იმაზე, როგორ შეგვეცვალა ეს მოცემულობა.

ვცდილობდი ამეხსნა, რომ მის აქტიურობას ადგილობრივ თემებზე მხოლოდ უარყოფითი გავლენა აქვს, რადგან ხელისუფლებას აძლევს საბაბს იძახოს, რომ საქმის კეთებაში ხელს წინა ხელისუფლება უშლის, ამიტომ მყარად ვურჩევდი რომ საერთაშორისო თემებზე გადართულიყო და ადგილობრივ პოლიტიკას გაშვებოდა.

თავიდან წყნარად მისმენდა, მაგრამ ერთ დღესაც ტელევიზორი ჩავრთე, ვხედავ რაღაც მინდორში დარბის და ყვირის რომ ლაზიკას ძროხები შეესია და დაჭაობდა....

მეთქი, ვაი ჩვენს პატრონს...

დავურეკე და მივედი სასახლეში, მეთქი მიშა - რა ძროხები, რა ლაზიკა, საკუთარი მასშტაბი იგრძენი, კაცი არა ხარ? ტელევიზორში ყოფნა თუ გინდა, აიღე ეს რუსთავი ორი, წადი დასავლეთში, ცხენზე ზიხარ — პირველი ხარ ვინც დათმო ძალაუფლება დემოკრატიულად, გიგა და რაფაელი გაგიკეთებენ ტურნეს, ჩადი ოქსფორდში, კემბრიჯში, იელში, ჰარვარდში, პრინსტონში... გადაავსე დარბაზები, ილაპარაკე რეგიონის გამოწვევებზე, შენს მემკვიდრეობაზე...

სიტყვა „მემკვიდრეობა" ვახსენე და უცებ გადაირია.... დაიწყო კივილი რომ მიწას ვაყრი, რომ ჩემი ხელით ვასაფლავებ პოლიტიკურად, რომ მე ვარ მოღალატე და საერთოდ, უნდა შევიგნო, რომ თვითონაა ქვეყანა, თვითონ შექმნა ეს ქვეყანა და თვითონ თუ არ იქნება, ქვა ქვაზე ნუ დარჩება... ისეთი ისტერიკა ჰქონდა, ვიცინოდი რომ განმემუხტა და ვცდილობდი ამეხსნა, რომ ამ ქვეყანას ბევრი გამორჩეული საზოგადო მოღვაწე ჰყოლია და მათი სიკვდილის მერეც აგრძელებდა ეს ქვეყანა არსებობას და ისტორიული მისიისკენ სვლას, და რომ მცდარია ასე საკითხის დაყენება და კარგს არაფერს მოუტანს.

ამ ყველაფერს რაფაელი შეესწრო, წამოვედით და მიშას მომსახურების ზონიდან გასვლის დარდი, მტკვარზე ჩავიხშეთ — კლუბში მივედით და დავლიეთ, აბა რა გვექნა?

მეორე დღეს გიგას ველაპარაკე, მეთქი მთლიანად მოსრიალებულია გიგა... აღარაა ადეკვატური და რამენაირად საღ აზრთან უნდა დავაბრუნოთ, ან პარტიას ავუხსნათ, რომ მისი კონდიცია დედას უტირებს ყველაფერს და სულ ბიძინა დარჩება.

გიგამ სევდიანი ღიმილით გადმომხედა — პარტიასთან კომუნიკაცია როდისმე გგონიაო? მეთქი არა. აი რომ გექნება, მერე მოდი და იგივე მითხარიო.

გავიდა რაღაც დრო. მიშა გაიქცა. რაღაც საქმე მქონდა გიგასთან და პარტიაში გავედი, აეროპორტის გზაზე. რომ მივედი პოლიტსაბჭო იყო ახალი დასრულებული და დიდ თეთრ ოთახში იყო ყველა. შევიხედე გიგას საძებნელად, ბევრს სულ არ ვიცნობდი. მესმის შეძახილები: „მიშას გარეშე გამარჯვების ჩვენ არ გვჯერა".

„მიშას გარეშე გამარჯვებას რა ფასი აქვს"....

პირი დავაღე. მეთქი რას ბოდავს ეს ხალხი... დავაკვირდი. ისიც დავინახე, რომ როცა შესძახებენ, რომ „მიშას გარეშე არაფერს ფასი არ აქვს" — ერთმანეთს უყურებენ თან.

უცებ მივხვდი რომ რაღაც დისტოპიურ სცენარში ვარ, სადაც ვიღაცას ადიდებენ იმის იმედით, რომ ბელადი შეიტყობს, ერთგულებას დაუფასებს და სხვაზე წინ გასწევს... დავინახე პიროვნების კულტზე აცოცებული არარაობები, რომლებსაც კულტი სულ ჰკიდიათ, საკუთარი გამორჩენისთვის კადრულობენ ქვეყნის დამცირებას.

საოცრად მომინდა ამ საშინელი კლიმატის არევა და ნათამაშევი გულუბრყვილობით ძალიან ხმამაღლა ვიკითხე — მეთქი, ხალხო, ყველა ადამიანები ვართ, ყველა მოვკვდებით რაღაც დროს და რომ მოკვდეს მიშა?... აი, მერე რა იქნება? ვეღარ გაიმარჯვებს ვერასდროს საქართველო?

მე ასეთი შემზარავი სიჩუმე არსად დამიყენებია. უცებ, დავინახე ჩემკენ მომართული რამდენიმე ათეული წყვილი თვალი, რომელიც ვერ იგებდა, როგორ გავბედე იმის თქმა, რომ ადამიანები კვდებიან.... როგორ ვაკადრე მიშას, რომ ისიც ადამიანია. აი, იმ თეთრ დარბაზში მივხვდი, რა რთული გზა გველოდა წინ, იმ თეთრ დარბაზში დავინახე რომ გველეშაპს, რომელიც დასამარცხებელია ორი თავი აქვს და ორივე მოსაწყვეტია.

ყველაფერი ისე წავიდა, როგორც თავიდანვე ჩანდა. ანუ, ის რაც დღეს ხდება, ნათელი იყო მაშინ, როდესაც სააკაშვილმა მიყვირა, რომ „თვითონაა ქვეყანა და თუ თავად არ იქნება, ქვა ქვაზე ნუ დარჩება".

საქართველოც მაგიტომ აღარ აინტერესებს. თუ თვითონ არ იქნება — მისთვის საინტერესო არაა ეს ქვეყანა. ყველა შეიძლება გადაგვარდეს და გაგიჟდეს! მაგრამ გარემოცვის სიჯანსაღე იმით იზომება, როგორ რეაგირებს ამ სიგიჟეზე. სააკაშვილს არ აღმოაჩნდა გარშემო საკმარისი ერთგული ადამიანი, რომელიც მასზე, როგორც ადამიანზე, იზრუნებდა და საკუთარი თავისგან, საკუთარი შხამიანი დემონებისგან იხსნიდა. უმრავლესობამ მის წონაზე ცოცვა დაიწყო და ახლა ხდება ის, რაც ხდება — მესიის გოდოლი ჩამონგრეულია, შეუმდგარი მესიის უბადრუკი გარემოცვა დამნაშავეებს ერთმანეთში ეძებს, ერთმანეთს ღალატში ამხელს და ისევ ერთმანეთზე ფეხის დაბიჯებით, სააკაშვილის წონის ლანდზე მიცოცავს", — წერს თამარ ჩერგოლეიშვილი.

### მადლიერება



# სიკეთით გულგამთბარი ვარ!

2022 წლის განმავლობაში არაერთი მისალმება და მილოცვა გამოქვეყნდა ან გახმიანდა ჩემი 80 წლის საიუბილეოდ. ეს ხდებოდა დაუმადლებლად და დიდი გულისხმიერებით, როგორც საერო, ისე სასულიერო იერარქიის ყველა, მათ შორის – უმაღლესი რანგის მესვეურთა მხრიდან. იგივე ითქმის სხვა კეთილგანწყობილ თანამემამულეთა შესახებ, უპირატესად პროფესიულ, სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში.

ვინაიდან ამ პროცესმა დიდხანს გასტანა, სამწუხაროდ, აქამდე ვერ შევძელი გამომეხატა ჩემი მადლიერება.

ვსარგებლობ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ ნაბოძები შესაძლებლობით და გულითად მადლობას ვუძღვნი ყველას, ვინც იმისთვის გაისარჯა, რათა კეთილი სიტყვით, საქმითა და სურვილებით გამოხმაურებოდა ჩემს საქმიანობასა და მის მოკრძალებულ შედეგებს.

სიკეთით გულგამთბარი და წახალისებული ვუბრუნდები ჩვეულ სამუშაო რიტმს.

დიდი მადლობა ყველას!

პატივისცემით,

**მინდია უგრეხელიძე**

თბილისი.

### რედაქციისგან

**ბატონ მინდია უგრეხელიძის ეს სამადლობელი სტრიქონები სექტემბრის ბოლოს მივიღეთ... სამიოდე დღის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში პირველი ქართველი მოსამართლე, „იურისტთა მსოფლიო ასოციაციის“ წევრი, აკადემიკოსი მინდია უგრეხელიძე თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს!**

**გულით გაიხარა ღვაწლმოსილმა სამართალდამცველმა, საზოგადო მოღვაწემ, ბრწყინვალე ორატორმა და თაობათა აღმზრდელმა.**

**როგორც ყოველთვის, დაჯილდოების შემდეგ აღტაცებულმა თქვა: „რაღაც გამორჩეულად, სულსა და გულში გამიარა ამ აღიარებამ, საპატიო თბილისელობამ, ნამდვილად არ ველოდი... დიდი გალაკტიონის პერიფრაზით რომ მოგახსენოთ „მაგრამ სულ სხვაა სიხარული უკანასკნელი, როგორც ყვავილი შემოდგომის, ხშირად პირველს სჯობს“, მადლობა ყველას ჩემი და აქ მყოფი ყველა ღირსეული ახალი საპატიო თბილისელების გახარებისთვის...**

**ჩვენი გაზეთის ყოფილ რედაქტორს, შესანიშნავ პუბლიცისტს და კალმოსანს მინდია უგრეხელიძეს ჩვენი რედაქციის მკითხველთა სახელით მართლაც გამორჩეული სიყვარულით ვულოცავთ საპატიო თბილისელობას, უფრო ადრე მინიჭებულ საპატიო ქუთაისელობასაც და ვთხოვთ, რომ ნუ ჩათვლის ამ აღიარებას „უკანასკნელ“ სიხარულ-სიყვარულად!.. რას გვიქვიან „უკანასკნელი“, წინ დიდი გზა და ახალი გამარჯვებებია!**

**ქართველ სტუდენტ-ახალგაზრდობას, ქართველ ხალხს ასე სურს, მორჩა და გათავდა!**

**გფარავდეთ ღმერთი!**

**სპარტაკ ქობულია**

# საქართველოს პრეზიდენტმა ქართველი მეცნიერები დააჯილდოვა

**საქართველოს პრეზიდენტმა აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე და თსუ-ს რექტორი გიორგი შარვაშიძე ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.**



# ბრწყინვალების ორდენით გასხივოსნებულნი

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს ბრწყინვალების ორდენი მიენიჭა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისა და საზღვარგარეთ ქართული მეცნიერების წარმოჩენისათვის.

გიორგი შარვაშიძეს კი, სახელმწიფო ჯილდო მიენიჭა ევროკავშირის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში საქართველოს ინტეგრაციისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისათვის, გამორჩეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, მსოფლიო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი კავშირის გაღრმავებისა და ქართულ და უცხოელ მეცნიერთა შორის სამეცნიერო ურთიერთობის ხელშეწყობისათვის, ქართული კულტურის ინტერდისციპლინარული კვლევების მხარდაჭერით ჩვენი საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია ორბელიანების სასახლეში გაიმართა.

თამაზ გამყრელიძის სახელმწიფო ჯილდო საქართველოს პრეზიდენტმა მის შვილს, ეკატერინე გამყრელიძეს გადასცა და კიდევ ერთხელ დიდი პატივისცემით გაიხსენა ღვაწლმოსილი მეცნიერი.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მთავრობის წარდგინებით მაქვს პატივი დღეს ბრწყინვალების ორდენით დავაჯილდოვო გიორგი შარვაშიძე. ჩვენი უნივერსიტეტის რექტორობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, იმ უნივერსიტეტისა, რომლის ისტორიაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის განუყოფელი ნაწილია და რომელიც ჩვენს სახელმწიფოში ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩვენი დამოუკიდებლობის ხერხემალი, კერა, სადაც მომავალი თაობა იზრდება და რომელიც ჩვენს ქვეყანას თავის მნიშვნელობას სძენს აქაც და ქვეყნის გარეთაც.

თქვენ ძალიან ბევრი იზრუნეთ, რათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონოდა ძალიან ღია და ფართო ურთიერთობები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები „ერასმუსის“ პროგრამაში სრულყოფილად არიან ჩართულნი, რაც იმედს გვაძლევს, რომ ჩვენ არა მხოლოდ ვუახლოვდებით ევროპას, არამედ გავდივართ რეალური ევროინტეგრაციის გზას, რომელიც ძალიან შედეგიანია, რადგან ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ნასწავლი სტუდენტები გვიბრუნდებიან, როგორც სრულყოფილი ევროპელები.

თსუ რეგიონში ერთ-ერთი ლიდერი უნივერსიტეტია და მსოფლიოს რეიტინგებში ასევე ძალიან კარგი მაჩვენებელი აქვს. ამიტომ ყველას შეგვიძლია, ვიამაყოთ ჩვენი უნივერსიტეტით.

თქვენ დააარსეთ ასევე, რექტორთა საბჭო, რომელიც ყველა უნივერსიტეტების რექტორებს აერთიანებს და ეს საბჭო ასევე რექტორთა ევროპულ ასოციაციის სრულყოფილი წევრია, რაც ევროპისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

ასევე დაარსდა კვლევითი ცენტრები, მათ შორის არის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი პლატფორმა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის და დღევანდელი




სახელმწიფოს მშენებლობის საწყისს წარმოადგენს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია დიასპორის შემსწავლელი ცენტრი, რადგან დიასპორა ჩვენი ძალიან დიდი საგანძურია. ვისურვებდი, რომ დიასპორასთან ჩვენი კავშირი უფრო მჭიდრო ყოფილიყოს და მათი დიდი ნაწილი კი, სამშობლოში დაბრუნებულიყოს.

დიდი ყურადღება ექცევა ასევე კავკასიური ენების სწავლებას და ძალიან მნიშვნელოვანია აფხაზური ენის სწავლების მხარდაჭერა. ჩვენ გვევალება აფხაზური ენის დაცვა და არა მხოლოდ დაცვა – მე ამას ვამბობ, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი და ქვეყნის კონსტიტუციის დამცველი – უნდა გავაცოცხლოთ აფხაზური ენა, დღეს ჩვენ ვართ მისი ერთადერთი რეალური დამცველები და ამისთვის ძალიან დიდი მადლობა!

მე მინდა ამ ყველაფრისათვის ძალიან დიდი მადლობა გადაგიხადოთ და გითხრათ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ჩვენი მომავალია, ეს ჯილდო კი, თქვენი რეალური დაფასების ნიშანია!“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე დააჯილდოვა ფილოსოფიის დოქტორი **თამარა დრაგაძე,** შუმეროლოგი **ნინო სამსონია** და საერთაშორისო რანგის ხეთოლოგი **ირინე ტატიშვილი**.

სამეფო ანთროპოლოგიური ინსტიტუტის დამოუკიდებელი მკვლევარი, სოციალური ანთროპოლოგი, ფილოსოფიის დოქტორი თამარა დრაგაძე დაჯილდოვდა საქართველოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და ღირებული კულტურულ-სოციოლოგიური კვლევების განხორციელებისათვის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, ასირიოლოგიის კათედრის წევრი, შუმეროლოგი **ნინო სამსონია** შუამდინარული ხელოვნების, ლიტერატურის, მითოლოგიისა და კულტურის კვლევისათვის, მიხაკო წერეთლის შრომების გამოსაცემად მომზადებისა და ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის წარდგენისთვის, ხოლო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის პროფესორი, ასირიოლოგიის კათედრის გამგე, საერთაშორისო რანგის ხეთოლოგი **ირინე ტატიშვილი** ხეთური ენისა და კულტურის კვლევისათვის, აქადური ენის სწავლების ხელშეწყობისთვის, საქართველოში ასირიოლოგიის განვითარებისათვის და ქართული ასირიოლოგიის მიღწევების საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.



# „სწავლა მოსწავლეთა“, თუ... რექტორი პენსიაზე?!

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე რომ გადადგომას აპირებდა, ჭორის დონეზე კარგა ხანია, ვიცოდით.**

**ის ინფორმაციაც გავრცელდა, რომ შარვაშიძის ნაცვლად ალმა მატერს დროებით ჯაბა სამუშია უთავკაცებდა.**

**თუმცაღა, მოვლენები ისე განვითარდა, სწორედაც რომ საანეკდოტოს ჰგავს: აწ უკვე ყოფილი რექტორი ვითომც არაფერი მომხდარიყოს, პრეზიდენტმა ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.**

**რასაკვირველია, ეს უდიდესი პატივია და მეცნიერს ვულოცავთ „გადადგომის“ შემდეგ ღვაწლის დაფასება-აღიარებას, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ემოციების დაცხრომამდე, ჭორ-მართლის გარკვევამდე მოგვეთმინა და მავანთათვის საქილიკო საბაბი არ მიგვეცა?**

## კისერიც მოგიტეხიათ!



**კეზერაშვილის შემდეგ პოლიტიკურ ველზე სოსო თოფურიძე გამოდის. საქართველოდან გაქცეული კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი ნიკა მელიას ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებს. პარტიის ლიდერს წლიური ხარჯები დაუთვალა და ამბობს, რომ პარტიას თავმჯდომარის შენახვა წელიწადში მილიონნახევარი უჯდება.**

**თოფურიძის მიერ გავრცელებული ტექსტი ადასტურებს, რომ ამ განცხადების ავტორი სწორედ კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი, ძებნილი დათა ახალაიაა, რომელიც პარტიის წევრებმა გარიყეს და მათ შორის სწორედ ნიკა მელიამ. მას შემდეგ, რაც მელიამ პარტიის თავმჯდომარეობა ჩაიბარა, პარტიის წევრებმა ძმებ ახალაიებზე და მასთან ასოცირებულ პირებზე აქცენტირება შეწყვიტეს.**

**ნიკა მელია, რომელსაც დღეს ქვეყნიდან გაქცეული ყოფილი ძალოვნები უპირისპირდებიან, აცხადებს, რომ თავის დროზე სრულ სიმართლეს პირადად მისგან გაიგებენ, ვინ და რატომ არის ბინძურ კამპანიაში ჩართული. მისი თქმით, სანამ სააკაშვილი და გვარამია ტყვეობაში არიან, მეტი საუბრისგან თავს შეიკავებს.**



# ბრძოლა პარტიული „ობშჩიაკისთვის“



**„კრიტიკის, ცილისწამებისა და ლანძღვის მოსმენა, როგორც წესი, აღარც კი არა, ველარც მიკვირს, მაგრამ ზოგი მეტისმეტად „ნიჭიერი“ გამოდგება ხოლმე და მაინც ახერხებს ჩემს გაკვირვებას. ერთ-ერთი ასეთი „ნიჭიერის“ წყალობით „ფეისბუქზე“ ტრიალებს კოლოსალური თანხები, რაც თურმე პარტიას ეხარჯება ჩემს შესანახად.**

**ეს „ნიჭიერი“ კაცი კი იმდენად „ნიჭიერი“ გახლავთ, რომ საზოგადოებას თავისი „საქმენი საგმირონით“ ჯერ კიდევ მაშინ გააცნო თავი, სანამ მე პოლიტიკაში ჩავერთვებოდი. არანაირი ათი ათასლარიანი ხელფასი მე არ მაქვს! საერთოდ არანაირ ხელფასს არ ვიღებ პარტიაში! არანაირ 4 ტონა ბენზინს არ მყიდულობს პარტია და არათუ 12 ათასი ლარი, 12 თეთრიც არ უჯდება ჩემი გადაადგილება.**

**ყოველთვიურად თურმე 41 ათასი ლარი იხარჯება ჩემს უცხოურ ვოიაჟებზე. არასოდეს პარტიის დაფინანსებით არ ვყოფილვარ საზღვარგარეთ! და საერთოდ, სანამ შეკვეთილ პოსტებზე დათანხმდებით, რომელსაც ქოცმედია ისტერიულად დაატრიალებს, კამპანიურ ხასიათს შესძენს და კმაყოფილი დამკვეთი გროშებს გამოიმეტებს, უნდა იცოდეთ, რომ იმ გროშებთან ერთად, საკადრის პასუხსაც მიიღებთ.**

**მჯერა, ხალხი ისედაც მიხვდება რაც ხდება და რატომაც ხდება, მაგრამ თავის დროზე სრულ სიმართლეს პირადად ჩემგან გაიგებენ, თუ ვინ და რატომ არის ამ ბინძურ კამპანიაში ჩართული და რა კონკრეტული მიზნები და ამოცანები ამოძრავებთ. ვერ მიაღწევენ დასახულ მიზანს, ვერ შესწვდებიან ძეხვს და მათთვის მუდამ პარასკევი იქნება“,** — წერს **ნიკა მელია.**

თოფურიძეს უპირისპირდება პარტიის წევრი **ზურაბ მელიქიშვილი,** რომლის განცხადებით, ზოგიერთის ავადმყოფური გონება უკიდეგანო ფანტაზიის საზღვრებსაც კი გასცდა.

მელია-კეზერაშვილი-თოფურიძის დაპირისპირებას ამ ეტაპზე შორიდან აკვირდებიან „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი და მოქმედი წევრები. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, თოფურიძემ პრაქტიკულად არალეგალური ხარჯები გამოააშკარავა, ისინი ერთმანეთს კეზერაშვილისა და სააკაშვილის შავი ფულისთვის ებრძვიან.

მისი თქმით, მილიონნახევარი როდესაც ერთ ადამიანზე იხარჯება და დეკლარირებული არ არის აუდიტის სამსახურის წინაშე, ჩანს, რომ ეს არის „შავი ფული“.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, გარდა იმისა, რომ პარტია ვერ იყოფს „შავ ფულს“, მელიას არ პატიობენ იმას, რომ არ დადგა რადიკალიზმის ამ რელსებზე, რაც ადრეც ჰქონდა, რადგან მიზნები იყო სხვადასხვა. პოლიტოლოგის განცხადებით, ბევრმა საქართველოში არ იცის თოფურიძე რაში მონაწილეობს და რაში არა. ის აქამდე, 10 წელიწადი(!) ჩუმად იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გაჩერებული იყო.

**„შეიძლება რაღაცა პროცესებში იღებდა მონაწილეობას და არც ისაა გამორიცხული, რომ აწი აპირებდეს გამომზეურებას. თუ აღმოაჩინა, რომ ის წერტილი, საიდანაც ის წავიდა უფრო თბილი, კომფორტული და შემოსავლიანი იქნება, გადაადგილდება. არ ვიცი საბერძნეთში რა შემოსავლით ცხოვრობს, მაგრამ როგორითაც არ უნდა იცხოვროს, ალბათ, შემოსავლის მიმატება და გაზრდა არ აწყენს. ე.ი. მართლა დიდ თანხებზეა ბრძოლა“,** — აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ დაპირისპირებული მხარეები გადახედავენ სააკაშვილის საკითხს და გამარჯვებაც იქითკენ უნდა ვივარაუდოთ, სადაც ძალა დიდია, მით უმეტეს, რომ ხალხის დაყოლიების დიდი ნიჭი არც მელიას არ აღმოაჩნდა.

**„ხომ უნდა ფლობდეს ადამიანი ან ფინანსებს, ან ისეთ რიტორიკულ ნიჭს, რომ დარაზმავს ადამიანებს, ან სამხედრო ძალას, მელიას არც ერთი ეს ფაქტორი არ აქვს, ამიტომ რითი უნდა გაიმარჯვოს? იქითა ფლანგზე ჩანს რაღაც-რაღაცები, რითაც შეიძლება გაიმარჯვონ. ერთი რამე ალბათ ყველამ იცის და იყო კიდეც მაგ ჟღერადობის პუბლიკაციები, რომ სააკაშვილს ფიგურის გარეშე მისი პარტიის რეიტინგი გახდება იგივე, რაც „ევროპული საქართველოსი“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“.**

**სააკაშვილი არის ხმების მაგნიტი ამ პარტიაში. ამიტომ, შეიძლება ნებისმიერი მხარე ცდილობს, რომ შეინარჩუნოს სააკაშვილის სახელი, ოღონდ თავის ჭკუაზე ატაროს პროცესები. აი, ეს სახელი იყო სააკაშვილის და სახრავი სხვისი — ეს ამოცანა არის ახლა წამყვანი. ამიტომ, სააკაშვილის სახელს ახლა ყველა გამოიყენებს“...**

**სქემა მარტივია — გასაყოფი არის ქონება და ფული, რაც კეზერაშვილის ხელშია. კეზერაშვილს აქვს რეალური ფინანსური ძალაუფლება და ახლა უნდა, რომ ეს ფინანსური ძალაუფლება გამოიყენოს პოლიტიკურშიც.**

**ანუ, მელია გვერდზე გაწიოს და პარტიის მთავარი ფიგურა გახდეს სწორედ კეზერაშვილის დაჯგუფება. თოფურიძეც აქეთ მხარეს არის.**



* * *

ანალიტიკოს **დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, სქემა მარტივია — **გასაყოფი არის ქონება და ფული, რაც კეზერაშვილის ხელშია.** მისი თქმით, კეზერაშვილს აქვს რეალური ფინანსური ძალაუფლება და ახლა უნდა, რომ ეს ფინანსური ძალაუფლება თარგმნოს პოლიტიკურშიც. ანუ, მელია გვერდზე გაწიოს და პარტიის მთავარი ფიგურა გახდეს სწორედ კეზერაშვილის დაჯგუფება. ზარდიაშვილის შეფასებით, თოფურიძეც აქეთ მხარეს არის.

**„გასაგებია რაც ხდება, რაც იყო, ნაძარცვი, კორუფციით ნაშოვნი პარტიული „ობშჩიაკი“, ამის განმკარგავი გახდა კეზერაშვილი, რომელმაც საქართველო დატოვა და ეს ფული თან წაიღო და მას შემდეგ, რაც სააკაშვილი გავიდა თამაშიდან და რეალურად არ მონაწილეობს პოლიტიკაში, მის მემკვიდრეობაზე მიდის ბრძოლა და ვისაც ფინანსები აქვს, იმას თავისი უპირატესობები აქვს.**

**მელიას თავისი კოზირები აქვს, მას მხარდამჭერების გარკვეული ჯგუფი ჰყავს და ეს ვითარებაა. სავარაუდოდ, ვის ხელშიც ფულია, ის მოიგებს. თუ არადა, როგორც თავის დროზე მოხდა, როცა ბოკერია გავიდა, ისევ გაიყოს „ნაციონალური მოძრაობა“ — ცალკე მელიას და ცალკე კეზერაშვილის დაჯგუფება. სახელი ვის დარჩება, ამაზე იქნება დავა და ვინ იქნება სააკაშვილის მემკვიდრე.**

**თუმცა, როგორც ჩანს, ეს უკვე მკვდარი მემკვიდრეობაა. „ნაციონალური მოძრაობის“ კრახი არის გარდაუვალი, გინდა კეზერაშვილი იყოს და გინდა მელია“,** — განაცხადა **დავით ზარდიაშვილმა.**

**თამთა ქარჩავა**

# მილიტარიზმის პატრიარქი



## ვინ არის „პუტინის საკურთხევლის ბიჭი“

**დღეს ათასობით და ათიათასობით ადამიანი სვამს კითხვას, როგორ შეიძლება პატრიარქი კირილე (გუნდიაევი) იყოს კრემლის ტყუილების თანამონაწილე და მხარს უჭერდეს რუსეთის შეჭრას უკრაინაში? შესაძლოა, პატრიარქი ყველაზე მეტად დაამწუხრა რომის პაპის სიტყვებმა. მაისის დასაწყისში ფრანცისკემ თავი ვერ შეიკავა და ქცევის ყოველგვარი წესების დარღვევით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს „პუტინის საკურთხევლის ბიჭი“ უწოდა.**



**რუსული მართლმადიდებლური ტრადიციის გათვალისწინებით, ალბათ, უფრო ზუსტი იქნებოდა დაეწერა, „პუტინის მნათეო“, მნათეები ძალიან მოხუცებიც შეიძლება იყვნენ, მაგრამ კათოლიკეებში, როგორც წესი, მღვდლებს ღვთისმსახურებაში ეხმარებიან და სანთლებს ატარებენ სწორედაც რომ მოზარდები. პაპის (და არამარტო მისი) მხრიდან ამ საკითხში საკმაოდ დიდი მზაკვრობა ჩანს, რადგან ვინ და პაპმა კარგად იცის, რატომ არის პატრიარქი კრემლის ხელზე მოსამსახურე. იცის და ყოველთვის იცოდა, თუმცა ისე იქცეოდა, ვითომ სჯეროდა პატრიარქის დამოუკიდებლობისა.**

ერთი დეტალიც საკმარისია პატრიარქის საქციელის გასაგებად: გუნდიაევი არ მსახურობდა საბჭოთა ჯარში, სწავლობდა ლენინგრადის სასულიერო სემინარიაში. თეორიულად ის უნდა გაეწვიათ, მაგრამ პრაქტიკულად სამხედრო კომისარიატები ანგარიშს უწევდნენ საბჭოთა საეკლესიო ხელმძღვანელობას. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი აღმოჩნდა მიტროპოლიტი ნიკოდიმ როტოვი, რომელმაც სტუდენტ გუნდიაევში განსაკუთრებული უნარები ამოიცნო და მომავალ პატრიარქს გამოცდების ექსტერნად ჩაბარების საშუალება მისცა. როტოვმა 23 წლის გუნდიაევი მღვდლად აკურთხა და თავის მდივნად დანიშნა, ერთი წლის შემდეგ კი, ჟენევაში, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაგზავნა წარმომადგენლად. კიდევ სამი წლის შემდეგ გუნდიაევი ლენინგრადის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორად დაინიშნა. მოკლედ, ელვისებური კარიერა გაიკეთა.

შევნიშნავ, რომ გუნდიაევის წინამორბედმა რუსეთის პატრიარქის პოსტზე, ალექსი რიდიგერმაც, ასევე ელვისებური კარიერა გაიკეთა: ისიც არ მსახურობდა ჯარში, დაქორწინებული იყო (თითქოს ფიქტიურად, თითქოს – არა), მანაც ვადაზე ადრე დაამთავრა სემინარია, 21 წლის ასაკში გახდა მღვდელი, 32 წლის ასაკში – ეპისკოპოსი და საპატრიარქოს ერთ-ერთი უმაღლესი წინამძღოლი. თუმცა, თავად როტოვმა ყველა რეკორდი მოხსნა, რადგან 20 წლის ასაკში ეკურთხა მღვდლად. არადა, ტრულის (კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრების) კანონების მე-14 კანონი – კრძალავს 30 წლამდე პირთა მღვდლად ხელდასხმას. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ყველა ეს პერსონაჟი მივიჩნიოთ ცრუ-მღვდლებად, ცრუ-ეპისკოპოსებად და მათი შვიდივე საეკლესიო საიდუმლო მივიჩნიოთ სიყალბედ.

ასევე კარგადაა ცნობილი, თუ რატომ გაიკეთეს ახალგაზრდებმა ასეთი ბრწყინვალე კარიერა: ისინი თანამშრომლობდნენ საიდუმლო პოლიტიკურ პოლიციასთან, უფრო ზუსტად, კონტრდაზვერვასთან, წარმოადგენდნენ კრემლის ინტერესებს „ეკლესიის ფრონტზე“, უმტკიცებდნენ უცხოელ ქრისტიანებს, რომ რუსეთში არსებობდა რელიგიის სრული თავისუფლება. შემთხვევითი არ არის, რომ მიმდინარე წლის სექტემბერშიც კი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ ვერ გაბედა მოსკოვის საპატრიარქოს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გარიცხვა თავისი რიგებიდან და შემოიფარგლა მშვიდობისკენ უკბილო მოწოდებით. სხვაგვარად როგორ იქნებოდა, რუსეთის მოქმედ პატრიარქს ხომ ამ ორგანიზაციაში აქვს დაწყებული თავისი საქმიანობა, როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელს? ვინ იცის, რამდენი ჩაი დაულევიათ ერთად და რამდენი რეზოლუცია დაუწერიათ...

**პატრიარქ კირილეს კაზუსი უნიკალურია, თუმცა სულ სხვა თვალსაზრისით. მისი ოჯახის მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა არის „სელექცია“: როგორ ცხრილავდა საბჭოთა ხელისუფლება ურჩებს და როგორ აწინაურებდა მორჩილებს. გუნდიაევის პაპამ, რკინიგზელმა და მხურვალე მორწმუნემ, 18 წელი მოიხადა „ობნოვლენცებთან“ ბრძოლის გამო. ასე ეძახდნენ იმ მართლმადიდებლებს, რომლებმაც 1920-იან წლებში დაიწყეს კრემლისა და მისი საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის მსახურება. გუნდიაევის მამამ კი მხოლოდ სამი წელი გაატარა ბანაკებში, სადაც სერგეი კიროვის მკვლელობის შემდეგ „სოციალურად უცხო ელემენტების“ წინააღმდეგ აგორებული რეპრესიების საერთო ტალღის შედეგად აღმოჩნდა. იბრძოდა ფრონტზე (რაც, სხვათა შორის, მღვდლობისთვის შეუსაბამოს ხდიდა მას, რადგან მკვლელი შეუძლებელია იყოს მღვდელი), ომის შემდეგ კი მღვდლად ეკურთხა. მსახურობდა ლენინგრადის სმოლენსკის სასაფლაოს ეკლესიაში – ქერის ორმოში. არასოდეს აპროტესტებდა ეკლესიის დევნას. მართალია, 1960 წელს, რატომღაც, იგი ამ ეკლესიიდან გადაიყვანეს რეგიონის არცთუ ისე მომგებიან ეკლესიაში, მაგრამ როგორც კი მისი ვაჟი მიტროპოლიტის მდივანი გახდა, ის ლენინგრადში დაბრუნდა.**

18 წელი – 3 წელი – და არა თუ არც ერთი წელი ციხეში, არამედ 52 წელი ძალაუფლების დერეფნებში – აი, ასეთი დინამიკაა. ამასთან, საკმარისი არ იყო უბრალოდ „არ გაგეპროტესტებინა“. გუნდიაევს ჰყავდა უფროსი ძმა, ნიკოლაი (1940-2021), რომელსაც განსაკუთრებული კარიერა არ გაუკეთებია. უმცროსი ძმა აშკარად ქაჩავდა უფროსს. შემდეგ ქაჩავდა უფროს ძმისშვილს, რომელიც საკმაოდ მოწიფულ ასაკში (36 წლისა) აქცია მღვდლად და გაგზავნა... სად? მართალია! ჟენევაში, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში წარმომადგენლად, ხოლო 2010 წლიდან ასევე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლად გაეროში, ადამიანის უფლებათა საკითხებში. კი ქაჩავდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ არც უფროსი ძმა და არც ძმისშვილი არ გამოირჩეოდნენ ნიჭიერებით. კარიერისტი ბევრია, მათ შორის მძაფრი კონკურენციაა, ზევით კი მხოლოდ საუკეთესოები აღწევენ.

რატომ არის გუნდიაევი „საუკეთესო“? მაგალითისთვის, 1975 წელს მღვდელმა გლებ იაკუნინმა მიაღწია იმას, რომ მისი წერილი სსრკ-ში მორწმუნეთა დევნის შესახებ განხილულიყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ასამბლეაზე. საბჭო აპირებდა დევნის დაგმობას, მაგრამ... ამუშავდნენ კულუარული მექანიზმები და არ დაგმეს, კულისებში კი იყვნენ მიტროპოლიტი ნიკოდიმ როტოვი და არქიმანდრიტი კირილე გუნდიაევი. იაკუნინი დააპატიმრეს და ჩასვეს, გუნდიაევი დააწინაურეს ჯერ ეპისკოპოსად, შემდეგ მთავარეპისკოპოსად და საგარეო საეკლესიო ურთიერთობების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ. სწორედ გუნდიაევმა შეადგინა 1991 წლის პუტჩის დროს პატრიარქ ალექსი რიდიგერის ორაზროვანი მიმართვა.

**იმ ფაქტმა, რომ გუნდიაევი პატრიარქი გახდა, აჩვენა, თუ რამდენად მკაცრად აკონტროლებს კრემლი საპატრიარქოს ცხოვრებას. ეპისკოპოსების უმეტესობა დაბალი განათლების მქონე ადამიანები არიან, ჟენევებსა და ვატიკანებში არ უმოგზაურიათ, თვალსაწიერის სიმწირეს კი აკომპენსირებენ (საუკეთესო შემთხვევაში) ღვთისმოსაობით, მაგრამ კრემლმა პატრიარქად „ევროპელი“ დანიშნა. ზუსტად ასეთი იყო როგორც პატრიარქი ალექსი რიდიგერი, ასევე პატრიარქი ალექსი სიმანსკი და პატრიარქი სერგეი სტრაგოროდსკი. როგორც წესი, ტორტის თავზე რაღაც განსაკუთრებული მოსართავი კეთდება სტუმრების მისაზიდად.**

პატრიარქმა კირილემ სრულად გაამართლა მის მიმართ გამოჩენილი ნდობა. დასავლური დემოკრატიისა და ზოგადად თავისუფლების მამხილებელი სიტყვების წარმოთქმა ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, მაგრამ მთელი სიმძლავრით მას შემდეგ ამოქმედდა, რაც პატრიარქი გახდა და აქტიურად შეუდგა „რუსული სამყაროს“ ქსელის შენებას, როგორც იდეოლოგიურად, გამოსვლებში, ასევე ორგანიზაციულად, ქმნიდა რა – კრემლის დახმარებით – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოებს მთელ მსოფლიოში. სწორედ მან მოაწყო კრემლის სახელით რეიდერული თავდასხმა ემიგრანტების სამრევლოების „გაერთიანებაზე“.

**ასე რომ, რომის პაპმა ძალიან დელიკატურადაც კი გამოხატა თავისი სათქმელი. პატრიარქი კირილე არანაირი ხელის ბიჭი და მნათე არ არის, ის მილიტარიზმის, შოვინიზმის, ნაციონალიზმის ნამდვილი პატრიარქია. ყანის დაუთესავი ნაწილი კი არა, მთესველია, რომელიც 54 წელია ტყუილს და ძალადობას თესავს.**

**ბოლოს და ბოლოს, სიცრუით გაჟღენთილი პირველი მიმართვები 1968 წელს გააკეთა. დიახ, კრემლის ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის წელს გუნდიაევი, ჯერ კიდევ 22 წლის ერისკაცი, მონაწილეობას იღებდა პრაღაში გამართულ სრულიად ქრისტიანულ სამშვიდობო კონგრესში.**




**რაც შეეხება იარაღის კურთხევას, ომის კურთხევას და მსგავსს, აქ გუნდიაევს პოზიცია საერთოდ არ შეუცვლია იმავე 1968 წლის შემდეგ. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობა ყოველთვის „იბრძოდა მშვიდობისთვის“ კრემლის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მიხედვით: გმობდა აშშ-ის აგრესიას ვიეტნამში, მაგრამ დუმდა კრემლის აგრესიაზე ავღანეთსა და სხვა ქვეყნებში.**

იხ. 8 გვ.

**ხელისუფლებას ოპოზიციასთან ახალი საკინკლაო თემა გაუჩნდა. ევროკომისიის მიერ გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია – დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი პარლამენტში უახლოეს ხანში კიდევ ერთი დაპირისპირების საგანი გახდება. პირველადი ინფორმაცია, რაც ხელისუფლებამ ამ კანონპროექტის გარშემო გააჟღერა არის ის, რომ კანონპროექტი სიტყვა-სიტყვით უკრაინელების მიერ შემუშავებული კანონპროექტის ანალოგია, „ქართულმა ოცნებამ“, უბრალოდ, გადმოთარგმნა და კანონპროექტიც მზად არის, მხოლოდ ერთ მთავარ საკითხზე არის შეთანხმება საჭირო – შეეხება თუ არა ეს კანონპროექტი ბიძინა ივანიშვილს. ხელისუფლების პოზიცია ერთმნიშვნელოვანია – კანონპროექტის ვერც ერთი პუნქტის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ბიძინა ივანიშვილის პერსონა, რაც შეეხება ოპოზიციაში მყოფ ე.წ. ოლიგარქებს, რომლებიც დღეს ოპოზიციურ პარტიებსა და მედიასაშუალებებს აფინანსებენ, ეს კანონი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მათ შეეხება.**

## ნანა კაკაბაძე:

# პიროვნებაზე კანონის მორგება ბოლშევიზმის გარდა, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს



## ოპოზიცია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არსში ვერ ერკვევა

**ოპოზიციისეული ოლიგარქიის აღქმა კი ასეთია – ოლიგაქრი არის ადამიანი, რომელსაც ფორმალურ ნაწილში არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნია, თუმცა ზეგავლენა აქვს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ანდა პირდაპირი თუ ირიბი მეთოდებით გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია. რამდენად მოერგება უკრაინელების მიერ შემუშავებული კანონპროექტი ქართულ რეალობას ეს ნამდვილად კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.**

ხელისუფლება ამ ეტაპზე მოლოდინის რეჟიმშია, აკვირდებიან, რა შეფასებები დაიდება უკრაინასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეგზავნება ქართული თარგმანი ვენეციის კომისიას.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე არ გამორიცხავს, რომ აღნიშნულ კანონპროექტზე მუშაობა საერთოდ შეწყდეს, ეს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საკითხზე არ იქნება ერთიანი კონსენსუსი მიღებული. კობახიძის აზრით, ოპოზიცია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არსში ვერ ერკვევა, როცა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტზე საუბრობს და აცხადებს, რომ ის ივანიშვილის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

**„მარტივად არის საქმე, უკრაინული კანონი, არც ერთ ქართველ პოლიტიკოსზე არ იყო მორგებული, გაიგზავნა ვენეციის კომისიაში, მანაც მოიწონა და შევთავაზეთ საბაზისო ვერსიად ეს ოპოზიციას. მაშინვე წამოვიდა წინააღმდეგობა ერთი მარტივი მიზეზის გამო – ნახეს, რომ ეს კანონი ვერ შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ შეეხება მათ არაერთ წარმომადგენელს, მათ არაერთ ლიდერს, მათ შორის, პირველ რიგში – კეზერაშვილს, რომელიც მედიამფლობელია და პირდაპირ ერევა პოლიტიკურ პროცესებში უხეში ფორმით, რისი მაგალითებიც ჩვენ არაერთხელ ვნახეთ, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. მათ ამ კანონის მიღება არ აწყობთ. ელემენტარულად, ვერ ერკვევიან სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არსში. კანონის მიღების დროს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის ის, რომ არ შეიძლება ის რომელიმე პიროვნებაზე იყოს მორგებული. როცა ხელისუფლებაში იყვნენ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ფეხქვეშ თელავდნენ, ახლა იგივე მიდგომები აქვთ ოპოზიციიდან, რაც არის სამწუხარო მოვლენა. კანონს ვერ მოვარგებთ. ამიტომ, უკრაინული კანონი ავიღეთ, რომელიც ყველამ მოიწონა და ვთავაზობთ ოპოზიციას. თუ მოინდომებენ ამაში თანამონაწილეობას, მზად ვართ, კანონი მივიღოთ, თუ არა, მაშინ არ მივიღებთ“,** – განაცხადა კობახიძემ.

* * *



**კობახიძის** მოსაზრებებს იზიარებს უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძე**, მისი თქმით, ოპოზიციის მოთხოვნები ყველანაირ დემოკრატიულ ღირებულებას სცილდება.

**ნანა კაკაბაძე:** იცით, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით 12 რეკომენდაცია გამოგვიგზავნეს, რომელიც საქართველოს მხარემ უნდა შეასრულოს. ერთ-ერთი რეკომენდაცია ოლიგარქიზაციის შესახებ კანონია. ანუ, საუბარია იმაზე, თუ რა კრიტერიუმებით შეიძლება, განისაზღვროს, არის თუ არა პირი ოლიგარქი, რომ მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოხდეს. მსოფლიოში ასეთი პრაქტიკა არ არსებობდა, ეს პირველად უკრაინაში იქნა გამოყენებული. სწორედ ვენეციის კომისიის მხარდაჭერით და მოწონებით იქნა მიღებული კანონი, რომელიც დღეს უკრაინაში მუშაობს. საქართველოს ხელისუფლებამ ამ 12-პუნქტიან რეკომენდაციებში ნახა, რომ ერთ-ერთი ოლიგარქიზაციის შესახებ კანონის მიღებაა, ბუნებრივია, ის საშუალება გამოიყენა, რომელიც უკვე არის. არსად, გარდა უკრაინისა, ეს პრაქტიკა არ არსებობს. ოლიგარქიზაციის შესახებ კანონის გამოყენებას ისინი ბიძინა ივანიშვილზე გეგმავდნენ, მაგრამ როდესაც აღმოჩნდა, რომ უკრაინის კანონის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილი ვერცერთ კრიტერიუმში ვერ ჯდება, გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ამ კანონზე უარი თქვან. მათი მოთხოვნა ფაქტობრივად არის ის, რომ ეს კანონი ბიძინა ივანიშვილზე, ანუ გვარ-სახელზე იქნეს მორგებული. ასეთი მოთხოვნა ყველანაირ დემოკრატიულ ღირებულებას, სტანდარტს სცილდება და, ფაქტობრივად, ჩვენს იმ ორიენტაციასაც სცილდება, რისთვისაც ევროპისკენ მივისწრაფვით. გამომდინარე იქიდან, რომ გვინდა, დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყანა ვიყოთ, მივდივართ იქითკენ, სადაც ეს ღირებულებები ყველაზე მაღალ სიმაღლეზე უნდა იყოს, მაგრამ უეცრად რას ვხედავთ: ზოგიერთი ევროპარლამენტარის პირიდანაც გვარ-სახელის გაჟღერება მოხდა. ასევეა ოპოზიციაც. ისინი ერთ ხმაში ალაპარაკდნენ იმაზე, რომ, თურმე, ეს კანონი ბიძინა ივანიშვილს უნდა მოერგოს. იცით რა გამახსენა ამ მოთხოვნამ? 30-იანი წლების ბოლშევიკების დროს ასეთი გამოთქმა არსებობდა „მთავარია იყოს ადამიანი, საქმე ყოველთვის იარსებებს“, ანუ საქმეს ყოველთვის შეთხზავ. ზუსტად ეს მიდგომა გამახსენა ამ ყველაფერმა. მთავარია, არსებობს ბიძინა ივანიშვილი, ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ოპოზიციას, იმ ძალას, რომელსაც ამ ქვეყანაში ეს ოპოზიცია წარმოადგენს და უცბად დადგა საკითხი, რომ, თურმე, კანონი ერთ ადამიანს, ბიძინა ივანიშვილს უნდა მოვარგოთ. იმ კრიტერიუმებში, რაც ოლიგარქის განმსაზღვრელია, ბიძინა ივანიშვილი არ ჯდება და, თურმე, როგორღაც ეს ივანიშვილს უნდა მოვარგოთ. ეს ბოლშევიკური აზროვნებაა.

**– რადგან ბიძინა ივანიშვილი არ ჯდება იმ კრიტერიუმებში, რომელიც კანონშია მითითებული და განსაზღვრას, ვინ არის ოლიგარქი, ისინი ფიქრობენ, რომ კანონში უნდა ჩაისვას ისეთი რამ, როგორიცაა, ვთქვათ, „გავლენის მოხდენა“. ასეთი რამის მტკიცებულების მოპოვება წარმოუდგენელია. რისი მტკიცებულების მოპოვებაც შეიძლება, ის კანონშია ასახული.**


– რადგან ბიძინა ივანიშვილი არ ჯდება იმ კრიტერიუმებში, რომელიც კანონშია მითითებული და განსაზღვრას, ვინ არის ოლიგარქი, ისინი ფიქრობენ, რომ კანონში უნდა ჩაისვას ისეთი რამ, როგორიცაა, ვთქვათ, „გავლენის მოხდენა“. ასეთი რამის მტკიცებულების მოპოვება წარმოუდგენელია. რისი მტკიცებულების მოპოვებაც შეიძლება, ის კანონშია ასახული.

**– ანუ ამ შემთხვევაში მთავარი პრობლემაა პერსონალიზაცია?**

– რა თქმა უნდა, დემოკრატიული საზოგადოებისთვის ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი. იმედია, დღევანდელ საქართველოში ეს გაზიარებული ვერ იქნება. მოთხოვნა იმისა, რომ ისეთი კანონი არსებობდეს, რომელიც მხოლოდ ერთ პირზე შეიძლება, იყოს მიღებული, ეს არის ის, რის წინააღმდეგაც უნდა ილაშქრებდეს პარლამენტის ჯანსაღი ნაწილი, რა თქმა უნდა, საზოგადოებაც. დღეს თუ ვიღაცას თუნდაც იმის პიარი გასდის, რომ ლაპარაკობს, მოდი, ერთ ადამიანს ბიძინა ივანიშვილს მოვარგოთ კანონი, რადგან ის დღეს არის ბარიერი, წინალობა იმისა, რომ საქართველოში ვერ იხსნება მეორე ფრონტი, ვერ ხდება ქვეყნის ჩამოშლა, ვერ ხდება პარლამენტში შეჭრა, ხელისუფლების დამხობა და ამის გამო ჩვენ ბიძინა ივანიშვილი უნდა დავამხოთო, თუ ამას საზოგადოება რაღაცნაირად შეეგუება, ვფიქრობ, ეს დღეს უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ის, რომ ასეთ ბოლშევიკურ მოთხოვნებს აყენებს ის ძალა, რომელსაც ოპოზიციური დაარქვეს. რეალურად ის შეიძლება, კრიმინალურ ძალად იწოდოს, რომელმაც პოლიტიკურ არენაზე გამოჩენის პირველივე დღიდან დაგვანახა, რომ მხოლოდ კრიმინალური მეთოდებით ახერხებენ, რომ იყვნენ პოლიტიკაში და მოიპოვონ ძალაუფლება. ისინი ცხრა წლის განმავლობაში ძალადობით ახერხებდნენ ხელისუფლებაში ყოფილიყვნენ. ახლა ოპოზიციაში არიან და ვხედავთ, რომ მათი მიტინგები, მანიფესტაციები ხშირად გამოხატვის თავისუფლებას სცილდება. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებითაც ვნახეთ, რომ ეს კრიმინალური ძალა გამოხატვის თავისუფლებას გასცდა, იგივე პარლამენტში შეჭრის მცდელობის დროს, რაც ხელისუფლების დამხობის მცდელობა იყო. ევროპულმა სასამართლომაც თქვა, რომ ისინი ასეთი ძალადობრივი გზით გამოხატვის, მიტინგების და მანიფესტაციების თავისუფლების უფლებას გასცდნენ. ასეთი ძალა დასავლეთის მხრიდან აღქმულია, როგორც პოლიტიკური ძალა. მათ არ აქვთ ის შეფასება, რომელიც რეალურად უნდა ჰქონდეთ. ანუ შეფასება, რომ ეს კრიმინალური ძალაა. გამრუდებული სარკის პრინციპით წარმოდგენილმა რეალობამ, რასაც მთელი ამ წლების განმავლობაში დასავლეთის მხრიდან ჰქონდა ადგილი, საქართველოში ანტიდასავლური განწყობები გააჩინა.

**შორენა გონგლაძე**

# ავლაბრის მეტროსთან სავაჭრო ცენტრი აშენდება!



**თბილისის ერთ-ერთ ტურისტულ უბანში, მეტროს სადგურ ავლაბრის მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის აშენება იგეგმება. მერიის არქიტექტურის სამსახურთან 5-სართულიანი შენობის ესკიზი უკვე შეთანხმებულია, მშენებლობის ნებართვა ჯერ გაცემული არ არის.**

თბილისის მერიაში წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 5-სართულიანი შენობის საწყისი სართული (-2) სრულად ავტოსადგომებს დაეთმობა, იმავე დანიშნულების იქნება -1 სართულის ნაწილიც. შენობის დანარჩენი სივრცე მთლიანად დაეთმობა სავაჭრო, დასასვენებელ და გასართობ სივრცეებს.

ქეთევან წამებულის გამზირზე, ავლაბრის მოედანზე სავაჭრო ცენტრის აშენებას მიწის მფლობელი 2013 წლიდან ცდილობს — ცვლიდა ესკიზებს და შენობის დიზაინს. რამდენჯერმე ესკიზებზეც მიიღო ნებართვა, თუმცა მისი კუთვნილი სივრცე ამ ეტაპამდე აუთვისებელია — არქიტექტურის სამსახური ყოველ ჯერზე თავს იკავებდა ამ ადგილას სამშენებლო ნებართვის გაცემისგან.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ალეკო ელისაშვილი, რომელიც წლების წინ თბილისის მერობის კანდიდატი იყო, მშენებლობას ეწინააღმდეგება.

**„რომელი კორპუსის მშენებლობა არ გამიპროტესტებია - პარკში, სტადიონზე, საბავშვო ბაღის ადგილზე, მაგრამ ასეთი, რაც აქ არის ავლაბარში, ასეთი გამაოგნებელი რამ ჯერ არ მინახავს, არ მსმენია და არ გამიპროტესტებია - ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, იქ სადაც არასდროს ნაგებობა არ ყოფილა, იქ სამშენებლო ნებართვის გაცემა წარმოუდგენელია,** — თქვა ალეკო ელისაშვილმა ვიდეომიმართვაში, რომელიც მეტროს სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაწერა.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, ახლა მიწა შპს ეი-პი-ესს ეკუთვნის. კომპანიის დირექტორმა, დავით საგანელიძემ რადიო „თავისუფლებას“ უთხრა, რომ ყველა საჭირო პროცედურის დასრულების შემდეგ მშენებლობას დაიწყებენ.

# ქუჩის მხატვრები და ქუჩის ხელოვნების ფესტივალი

**თბილისის მერი კახა კალაძე მერის მოადგილე ანდრია ბასილაიასთან ერთად, ქუჩის მხატვრობის წარმომადგენლებს, ე.წ. „სთრით არტისტებს“ და ქუჩის ხელოვნების ფესტივალის ორგანიზატორებს შეხვდა.**



შეხვედრაზე დედაქალაქის მერმა აღნიშნული მიმართულების კიდევ უფრო წასახალისებლად, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრა და ხელოვანებთან სამომავლო თანამშრომლობისთვის სრული მზადყოფნა გამოთქვა.

**„მინდა, კიდევ ერთხელ მხარდაჭერა და თანადგომა გამოგიცხადოთ, რადგან ძალიან კარგ საქმეს აკეთებთ. მე, როგორც ქალაქის მერს, ძალიან მსიამოვნებს ყველა ის პროექტი, რომელიც უკვე განხორციელდა. გვაქვს მზაობა, რომ ამ მიმართულების დაფინანსება გავზარდოთ, პროცესში კიდევ უფრო მეტი არტისტი ჩავრთოთ, რათა პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა უფრო მეტ ადამიანს ჰქონდეს. ის, რაც კონკრეტული ნამუშევრების სახით იქმნება, ჩვენს ქალაქს ძალიან ალამაზებს. იცით, რომ გარკვეულ უბნებში იერსახის თვალსაზრისით, პრობლემები გვაქვს და თქვენი ნამუშევრები მართლაც შთამბეჭდავია. აღნიშნული პროექტი საზოგადოებას ძალიან მოსწონს და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა განვაგრძოთ. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას იმისთვის, რასაც აკეთებთ. იცოდეთ, რომ ჩვენი მხრიდან მხარდაჭერა და თანადგომა ყოველთვის გექნებათ, რათა ქალაქში კიდევ უფრო მეტი მსგავსი პროექტი განხორციელდეს“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

თავის მხრივ, ე.წ. „სთრით არტისტებმა“ და ქუჩის ხელოვნების ფესტივალის ორგანიზატორებმა თბილისის მერიის წარმომადგენლებს ღია და უშუალო კომუნიკაციისთვის მადლობა გადაუხადეს და იმედი გამოთქვეს, რომ პროცესში რაიონების გამგეობების წარმომადგენლებიც აქტიურად ჩაერთვებიან. ამასთან, არტისტებმა დედაქალაქის მერს საკუთარი მოსაზრებები და ინიციატივები წარუდგინეს, რომელიც ქუჩის მხატვრობის სფეროს განვითარებას შეუწყობს ხელს.

**აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის მერია ქუჩის მხატვრობის მხარდასაჭერად, 500 000 ლარის გამოყოფას გეგმავს. პროგრამის ფარგლებში, ქალაქში, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ხელოვანების მიერ უკვე 100-მდე კედელი მოიხატა.**

# ხუდადოვის ტყის აღდგენის სტუდენტური თაობა

**დედაქალაქის მერი კახა კალაძე, ვიცე-მერ ირაკლი ხმალაძესთან ერთად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს, ამავე ფაკულტეტის დეკანს ნინო იმნაძესა და თბილისის გენერალური გეგმის ერთ-ერთ ავტორს, პროფესორ მერაბ ბოლქვაძეს შეხვდა.**

შეხვედრის მონაწილეებმა თბილისის მერს ხუდადოვის ტყის გაჯანსაღება-მოწესრიგებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდების მიერ შექმნილი კონცეფცია გააცნეს. თავის მხრივ, კახა კალაძემ მზაობა გამოთქვა, აღნიშნული ინიციატივა მიიღოს და სტუდენტებთან ერთად, ტყე-პარკის განახლების პროექტი განახორციელოს.

**„ბევრმა ადამიანმა იცის ჩვენი დამოკიდებულება მწვანე სივრცეებთან, პარკების განახლება-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ის ინიციატივა, რომელიც თქვენგან მივიღეთ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რას ეხება საქმე — ეს არის ახალგაზრდების ინიციატივა, რომელიც ხუდადოვის ტყის განახლებას, რეაბილიტაციასა და მოწესრიგებას გულისხმობს. სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, კონკრეტული პროექტი წარმოადგინონ, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული ტერიტორიის განვითარება. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ახალგაზრდები ქალაქისთვის ასეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ერთვებიან. ჩვენ ერთად უნდა დავისახოთ კონკრეტული გეგმები, თუ რა უნდა გაკეთდეს და რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი. დედაქალაქის მერია გამოთქვამს მზადყოფნას, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ყველას. იცოდეთ, რომ მაქსიმალურად დაგიდგებით გვერდში და მხარს დაგიჭერთ“,** — განაცხადა კახა კალაძემ.





# ჩემი საქართველო...

**...ის ქვეყანა, რომელსაც სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორია და სამი სახეობის ისტორია გააჩნია, ის რვა ათასი წლის ღვინის წარმოების კულტურის პატრონია, ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ სახელმწიფოში 11 600 ეკლესია-მონასტერია, აქაა დაკრძალული წმინდა სიდონია და იესო ქრისტეს კვართი.**

**საქართველოს მთა-ბარში ჩამოედინება 26060 მდინარე, გვაქვს 2400 მინერალური წყლის წარო და 856 ტბა, აქაა გავრცელებული 49 სახეობის ნიადაგი, რომლებზეც იზრდება 2 მილიონ 718 ათასი ჰექტარის ტყე, სადაც იზრდება 13 300 სახეობის მცენარე, შექმნილია 68 ეროვნული პარკი და სახელმწიფო ნაკრძალი. ქვეყანაში 102 კურორტია, შავი ზღვის სანაპირო ზოლი კი 315 კილომეტრის სიგრძისაა.**

**გარდა ამისა, გვაქვს 594 მოსაპირკეთებელი ქვისა და ინერტული მასალის (ქვიშის, ღორღის) საბადო, გაგვაჩნია 130 მილიონი ბენტონიტის თიხის მარაგი, 33 ბარიტის საბადო და მსოფლიოში სიდიდით მესამე ჭიათურის მარგანეცის საბადო, რომელიც 80 მილიარდ ტონა მადანს შეიცავს...**

# „...ვიყავი, ვშრომობდი და დასრულდა ჩემი ცხოვრება...“



**აი, როგორ აფასებდა საკუთარ კინოშემოქმედებას ჩვენი გენიალური მსახიობი სესილია თაყაიშვილი და როგორი იყო მისი უკანასკნელი სურვილი.**

**„არ მიყვარს ჩემი თავი ეკრანზე, რადგან ვიცი, რაც გაკეთებულია, ვერ დააბრუნებ, ვერ გაასწორებ, ამიტომ არ მინდა კიდევ ერთხელ დავრწმუნდე, რომ შეიძლებოდა გაცილებით უკეთ მეთამაშა... ვთხოვ ჩემიანს ყველას, შემისრულონ ეს თხოვნა: არავითარ შემთხვევაში თეატრში არ გადამიყვანონ, არც საპატიო ყარაული დააყენონ... ნუ დაღლით ხალხს, არავითარი სიტყვები... ვიყავი, ვშრომობდი და დასრულდა ჩემი ცხოვრება. იმედია, ასე მშვიდად, წყნარად მიაბარებთ ჩემს ნეშტს ცივ მიწას...“**



# ოთარ ჭილაძე: საით გაგიწევიათ, დებო და ძმებო?!

**ვისაც გინდათ, გეწყინოთ, მაგრამ სიმართლე არის ეს და მორჩა!!!**

**„იმ ისრაელში, რომ ამბობთ, ასეთი ცხოვრება არისო და სხვაგან... იქნებ გადაგეხედათ და გადაგეკითხათ მათი განვლილი ისტორია, დღემდე როგორ მოვიდნენ და, კი ბატონო, მერე სიამოვნებით ვისაუბროთ...**

**ებრაელებს როგორც კი სახელმწიფოს აღდგენის საშუალება მიეცათ, ოცდახუთსაუკუნოვანი განშორების შემდეგ, კვლავ დაუბრუნდნენ სამშობლოს. ჩვენ კი, როგორც გაგვიჩნდა სახელმწიფოს აღდგენის შანსი, სამშობლოს ბედის ანაბარა ვტოვებთ და გავრბივართ... უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობების მოსაპოვებლად, რის გამოც სამშობლოსთან ერთად ვკარგავთ ღირსებასაც, ხოლო უღირსი ადამიანი გინდა შაშხით გამძღარა და გინდა რკოთი, დიდი განსხვავება არ არის, არც მისთვის, არც სხვისთვის“.**

# „სოხუმში არ ჩავალ...“



**ქართული საოპერო ხელოვნების დიდება და სიამაყე, მე-20 საუკუნის მსოფლიო ერთ-ერთი უდიდესი ტენორი ზურაბ სოტკილავა სოხუმში დაიბადა და გაიზარდა, იქვე არიან დაკრძალული მისი მშობლები. აი, რას ამბობდა დიდი არტისტი აფხაზეთის დროებითი ოკუპაციით გამოწვეული ტკივილის შესახებ თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სატელევიზიო ინტერვიუში.**

**„სოხუმში კი ჩავიდოდი, კაი პატივსაც მცემდნენ და კაციშვილი თითსაც ვერ გაანძრევდა ჩემს წინააღმდეგ, მაგრამ სინდისი არ მაძლევს იმის გაკეთების უფლებას, რომ მე სოხუმში დრო ვატარო და ვიმხიარულო, იქიდან გამოდევნილი 300 ათასი ლტოლვილი კი მე მიყურებდეს.**

**გულწრფელად ვამბობ, რომ სანამ ჩემი ხალხი დევნილი იქნება და თავის კერებს არ დაუბრუნდება, მე სოხუმში არ ჩავალ — ეს არის ჩემი პროტესტი“.**

მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

# მილიტარიზმის პატრიარქი



## ვინ არის „პუტინის საკურთხევლის ბიჭი“

(მეხუთე გვერდიდან)

პატრიარქ კირილეს არ გაუპროტესტებია 2014 წელს უკრაინაში შეჭრა, მაგრამ არც მხურვალე მოწონებით გამოსულა. ბევრს სურს დაიჯეროს, რომ ეს მის ნორმალურობაზე, „ქრისტიანობასა“ და „არაკრემლურობაზე“ მეტყველებს. თუმცა, პატრიარქი ყოველთვის ატარებდა სწორედაც რომ კრემლის პოლიტიკას: აძაგებდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების გამო, კიცხავდა უკრაინელებს მოსკოვის საპატრიარქოს სამრევლოების მიმართ თითქოსდა გამოვლენილი ძალადობისთვის. ეს იყო გუნდიაევის მთელი მრავალწლიანი მოღვაწეობის ლოგიკური გაგრძელება. სწორედ მან გაწყვიტა კავშირი კონსტანტინოპოლის პატრიარქთან 1996 წელს, როდესაც ბართლომემ მხარი დაუჭირა ესტონელი მართლმადიდებლების გადაწყვეტილებას, დაბრუნებულიყვნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მოსკოვის საპატრიარქოდან, სადაც ისინი 1940 წელს სსრკ-ს მიერ ესტონეთის ოკუპაციის შემდეგ მოხვდნენ. სწორედ გუნდიაევი დევნიდა აქტიურად უკრაინელ მართლმადიდებლებს 1990-იან წლებში, როდესაც მათ კიევის საპატრიარქო და უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია შექმნეს. ასევე სწორედ გუნდიაევმა მოაწყო გლებ იაკუნინის განკვეთა (არაკანონიკური), მათ შორის, მოსკოვისგან დამოუკიდებელ უკრაინელ მართლმადიდებლებთან კონტაქტებისთვის, თუმცა ეკლესიის ამბიონიდან გუნდიაევი ლაპარაკობდა და აგრძელებს ლაპარაკს საკუთარ თავზე, როგორც მოწამეზე, რომელსაც დევნიდა უღმერთო ხელისუფლება, ხოლო იაკუნინზე... იაკუნინზე უბრალოდ არ საუბრობს და ეს ძალიან ჭკვიანურია.

რაც შეეხება იარაღის კურთხევას, ომის კურთხევას და მსგავსს, აქ გუნდიაევს პოზიცია საერთოდ არ შეუცვლია იმავე 1968 წლის შემდეგ. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობა ყოველთვის „იბრძოდა მშვიდობისთვის“ კრემლის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მიხედვით: გმობდა აშშ-ის აგრესიას ვიეტნამში, მაგრამ დუმდა კრემლის აგრესიაზე ავღანეთსა და სხვა ქვეყნებში.

**დღეს გუნდიაევს, დიდი ალბათობით, არ უხარია, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არ შეესვლება, მაგრამ განა შეიძლება იმის იმედად ყოფნა, რომ მოურჯულებელი ნომენკლატურშიკი – ნამდვილი და არა გამოგონილი ოლიგარქი – დაუპირისპირდება კრემლს, რომელსაც მთელი ცხოვრება ემსახურება? ეს გულუბრყვილობა იქნებოდა.**

**დიდი ალბათობით, პატრიარქი კირილე და არა მხოლოდ ის, თავს იმით იმშვიდებს, რომ ომი ოდესღაც დასრულდება და სანქციებიც მოიხსნება, რომის პაპი და სხვები კი კიდევ ჩამოართმევენ ხელს. მას აქვს მდიდარი გამოცდილება, რომელიც უკარნახებს, რომ გამწვავებები მოდიან და მიდიან, ხოლო ელიტებს, რომლებიც რჩებიან, ურჩევნიათ ერთმანეთთან კარგი, „სამუშაო“ ურთიერთობა შეინარჩუნონ.**

შეიძლება თუ არა, ასეთ ადამიანებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას მუშაობა ეწოდოს – ეს იმათი გადასაწყვეტია, ვინც თავისუფალია გადაწყვიტოს, რომ გავლენას მოახდენს არჩევნების გზით თავის პოლიტიკოსებზე, ხოლო ღია, თავისუფალი დისკუსიის გზით შეიძლება გავლენა იქონიოს ეკლესიის ლიდერებზეც კი. რუსეთის მოქალაქეებს, მათ შორის მორწმუნეებს, არ აქვთ ასეთი შესაძლებლობები და ეს ძალიანაც აწყობს პატრიარქ კირილეს და არა მხოლოდ მას. ეს არის მთავარი წერტილი, საიდანაც იზრდება არათავისუფლება. როგორ გათავისუფლდეს ამ წერტილისგან და მიაღწიოს თავისუფლების ხაზს, – ეს უკვე ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს.

**იაკობ კროტოვი,**
**„რადიო თავისუფლება“**

## ზელენსკის თავისი მიწები ვერ დაუბრუნებია და იაპონიას კურილიის კუნძულებს „ჩუქნის“

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლითაც მოსკოვსა და ტოკიოს შორის სადავო, კურილიის კუნძულები იაპონიის ტერიტორიად და რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულად გამოაცხადა.

**„დღეს მივიღეთ მნიშვნელოვანი, სამართლიანი, იურიდიულად უნაკლო, ისტორიული გადაწყვეტილება. უკრაინამ დაადასტურა იაპონიის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემა, მათ შორის ჩრდილოეთის ტერიტორიის, რომელიც ჯერ რუსეთის მიერ არის ოკუპირებული“,** – განაცხდა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

ზელენსკის თქმით, კიევი მოუწოდებს მსოფლიოს, ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღონ. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, რუსეთს არ აქვს უფლება, პრეტენზიებს აცხადებდეს ამ ტერიტორიაზე და „მთელმა მსოფლიომ ეს კარგად იცის“.

**„აუცილებელია ქმედებები და რუსეთის ოკუპაციისგან ყველა იმ მიწის გათავისუფლება, რომელთა მითვისებასაც ოკუპანტები ცდილობენ“,** – განაცხადა ზელენსკიმ. ზელენსკის თქმით, აგრესორმა უნდა წააგოს და ოკუპანტებს არაფერი უნდა დარჩეთ.

## ყირიმის ხიდის ნაწილი აფეთქების შემდეგ ჩამოინგრა

**რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის ცნობით, ყირიმის ხიდზე ხანძარი სატვირთო ავტომობილის აფეთქებამ გამოიწვია. როგორც ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული, აფეთქების შემდეგ ცეცხლი სარკინიგზო შემადგენლობაზე მიმაგრებულ საწვავის ავზებს გაუჩნდა.**

როგორც ანტიტერორისტულ კომიტეტში აცხადებენ, მომხდარის შედეგად ხიდის ნაწილი ჩამოინგრა, თუმცა გემების მიმოსვლისთვის განკუთვნილი ხაზი არ დაზიანებულა. რუსული მედიის ცნობით, ამ დროისთვის, ყირიმის ხიდზე საავტომობილო მოძრაობა სრულად ჩაკეტილია. რუსეთში განაცხადეს, რომ ვლადიმერ პუტინი მომხდარის შესახებ ინფორმირებულია და რუსეთის პრეზიდენტმა პირადად გასცა ხანძრის გამომწვევი მიზეზების გამოძიების და მიყენებული ზიანის აღმოფხვრის განკარგულება.

ყირიმის ხიდზე მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით რუსეთში სამთავრობო საგამოძიებო კომისია შეიქმნა. ადგილობრივი მედიის ცნობით, შესაბამის განკარგულებას პრემიერ-მინისტრმა მიხაილ მიშუსტინმა მოაწერა ხელი. სამთავრობო საგამოძიებო კომისიას ვიცე-პრემიერი მარატ ხუსნულინი უხელმძღვანელებს.



**„ეს არის დასაწყისი. ყველაფერი უკანონო უნდა განადგურდეს“,** – ასე გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი ყირიმის ხიდზე მომხდარ აფეთქებას.

## ატომურ სადგურს ელექტროენერგია არ მიეწოდება

**რუსეთის მიერ გახსნილმა ცეცხლმა ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის ელექტროენერგიით მომარაგების ბოლო ხაზი დააზიანა, რის შედეგადაც სადგურს ელექტროენერგია აღარ მიეწოდება.**

ამის შემდეგ ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე ავტომატურ რეჟიმში ჩაირთო დიზელ-გენერატორების სისტემა. კომპანიაშია აცხადებენ, რომ დიზელის არსებული მარაგები ამ რეჟიმში მუშაობისას 10 დღეში ამოიწურება. 5 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა „განკარგულებას“ ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის რუსეთის „ფედერალურ საკუთრებაში“ გადაცემის შესახებ.

## ფრანგების ინიციატივით იქმნება სპეცფონდი უკრაინისთვის

**საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის ინიციატივით, უკრაინისთვის სპეციალური ფონდი შეიქმნება და მისთვის დასაწყისისთვის 100 მილიონი ევრო გამოიყოფა.**

ამის შესახებ ემანუელ მაკრონმა პრაღაში განაცხადა. როგორც მაკრონი ამბობს, აღნიშნული თანხით უკრაინას შესაძლებლობა ექნება, პირდაპირ ევროპელი მწარმოებლებისგან შეიძინოს საჭირო აღჭურვილობა.

## „ზემო ლარსზე“ მიტოვებული ავტომობილები საჯარიმო ავტოსადგომზე გადაჰყავთ



**ჩრდილოეთ ოსეთის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სახელმწიფო ინსპექციას საჯარიმო ავტოსადგომზე გადაჰყავს საქართველოს საზღვართან მიტოვებული ავტომობილები.**

გამოცემის „მედუზა“ ცნობით, ავტომობილის დაბრუნებას მის მფლობელებს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების პასპორტის წარდგენის შემთხვევაში ჰპირდებიან.

**„საქართველოში წამოვედი მობილიზაციის გამო. საზღვარზე „ზემო ლარსთან“ უზარმაზარი საცობი იყო. მანქანა გზის პირას დავტოვე, საზღვარი ველოსიპედით გადავკვეთე. ავტომობილის საბუთები და გასაღები ახლობელს გავატანე ვლადიკავკაზში, რომ მას წაეყვანა, მაგრამ ვერ მოასწრო. ყველა მიტოვებული ავტომობილი საჯარომო ავტოსადგომზე გადაიყვანეს. საგზაო საპატრულო სამსახურის დანაყოფის უფროსთან პირად საუბარში ახლობელმა გაიგო, რომ არსებობს ზეპირი განკარგულება იმის შესახებ, რომ ავტომანქანები მათ მფლობელებს მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალების პასპორტის წარდგენის შემთხვევაში გადასცენ“,** – განაცხადა პაველ ჩიკოვმა.

მისი თქმით, საჯარიმო ავტოსადგომიდან მანქანის წაყვანა პირს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზეც შეუძლია.

**ტელეგრამის – არხ Mash Gor-ის ინფორმაციით, საჯარიმო ავტოსადგომზე უკვე 80 ავტომანქანა გადაიყვანეს.**

მანამდე, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ვიაჩესლავ ვოლოდინი გამოვიდა ინიციატივით, რუსეთის საზღვართან მოქალაქეების მიერ მიტოვებული მანქანები მობილიზებულთა ოჯახებისთვის გადაეცათ.

ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟო სამმართველოს პრესსამსახურში კი განაცხადეს, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მსუბუქი ავტომობილების რიგი აღარ არის. ვითარების სტაბილიზაციის შესახებ მანამდე საქართველოს შსს-მაც აღნიშნა.

პრეზიდენტ პუტინის განკარგულებით, რუსეთში 21 სექტემბრიდან დაიწყო ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაცია. მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ რუსეთის ათასობით მოქალაქემ ქვეყნის დატოვების სურვილით საზღვრებს მიაშურა. რუსეთ-საქართველოს საზღვართან გასული კვირის განმავლობაში მრავალკილომეტრიანი რიგები იყო.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 17-29 სექტემბერს ქვეყანაში რუსეთის 100 000-მდე მოქალაქე შემოვიდა, თუმცა ამავე პერიოდში 77 000-ზე მეტმა რუსმა დატოვა ქვეყანა...**

# „ძალიან თავხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,



**– ასრე იტყოდა ფრიდრიხ ნიცშე**

**ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №70, 73, 76, 86, 94, 98, 108, 121, 142

## ხელოვნება

უკეთუ თვალს მხატვრულად ვავარჯიშებთ, ბავშვობიდანვე ვხატავთ, წერაში ხელს ვიწაფავთ და პეიზაჟსაც სახელდახელოდ ვხატავთ ანდა ასევე პორტრეტებსა და სცენებს, რა თქმა უნდა, სასარგებლოა ცხოვრებისთვისაც, რადგან ეს თვალს ამახვილებს, უფრორე მშვიდსა და მომთმენსა ხდის ადამიანებისა და მოვლენების დაკვირვებისას.

* * *

სმენის მხატვრულ აღზრდას არ ძალუძს რისამე ცხოვრებისეული თანამდევის შეძენა. ამიტომ სახალხო სკოლებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა მხატვრობას, არამედ მუსიკას.

* * *

ვერაფერს ვერ იზამ: სუყოველ ოსტატს ოდენ ერთი ჭეშმარიტი შეგირდი ჰყავს და ისიც ცვლის იმას, რამეთუ თავად უნდა გახდეს ოსტატი.

* * *

ჩვენი აღტაცება რასამე ხარისხით ანდა ხელოვნებით ისეგვარად დიდი შეიძლება რომ იყვეს, რომ თავი შეგვაკავებინოს იმის შეძენაზე.

* * *

სული დროისა არა მარტო სუფევს ჩვენ გარშემო, არამედ სუყოველ ადამიანში ცოცხლობს. სული დროისა ისეა მოწყობილი, თავად ეწინააღმდეგება თავის თავს, თავად იშობს თავს.

* * *

შესაძლებელია, მუსიკისთვისაც დადგება ოდესმე უკეთესი ჟამი – ოდეს შემოქმედნი მუსიკას მიმართავენ ისეთ ადამიანთ, სრულიად განვითარებული, მტკიცე, მგზნებარე ბუნებისანი რომ იქნებიან. აბა, რად გვინდა მუსიკა ჩვენ, თანამედროვე, პირუმტკიც, დაუდეგარ, ბოლომდე განუვითარებელ, ნახევრადპიროვნულ, ცნობისმოყვარე, წარსული საუკუნის ავხორც სულმდაბალთ?

* * *

...ჩვენი ხელოვნება მიმართავს ამჟამინდელ ხარბ, გაუმაძღარ, აღვირახსნილ ადამიანთ და უჩვენებს იმათ წმინდა ცხოვრების ამაღლებულ იერსახეებს იმათივე უდაბნოს სურათხატთა გვერდით: ისინი თავდავიწყებას ეძლევიან და განცხრომაში არიან ამ ჩვენებით და იქნებ ამ თავდავიწყებით გამოაქვთ თავიანთი ცხოვრების წყევლა-კრულვა და ცვლილებათა სურვილი. საწყალი შემოქმედნი, უკეთუ ესეგვარ საზოგადოებასთან უხდებათ საქმის დაჭერა!

## სიტყვების თაობაზე

გესლიანი ადამიანის გრძნობები იშვიათად გადმოჩქეფს, თუმცა თუ გადმოჩქეფს, ძალიან ხაფად ხმიანებს.

* * *

არ მესმის, რა აზრი აქვს ავყიობას, უკეთუ ადამიანს ვისიმე წყენინება უნდა, საკმარისია მასზე რაიმე სიმართლის თქმა.

* * *

ყოვლის უფრორე დამაჯერებელი ენაში სიტყვა კი არ არის, არამედ ტონია, ძალაა, მოდულაციაა, ტემპია, რომელთა საშუალებითაც წარმოითქმის სიტყვათა წყება, სხვაგვარად თუ ვიტყვით, სიტყვების მიღმა ჩნდება მუსიკა, ამ მუსიკის მიღმა ვნება, ამ ვნების მიღმა პიროვნება, ანუ ის ყოველივე, რაიც არ იწერება. ამიტომ არცრა მწერლობანას აზრი არა აქვს.

* * *

ვიდრე დარწმუნდებოდე, რომ რისამე დაწერის უფლება გაქვს, ზუსტად უნდა იცოდე: „ამას მე ასე და ასე გამოვთქვამდი“. აგრერიგად მწერლობა ოდენ მიბაძვა უნდა იყვეს.

* * *

პირველი და აუცილებელია მწერლობაში ცხოვრება, სტილი უნდა ცხოვრობდეს.

* * *

ადამიანის სტილი ყოველთვის უნდა იყვეს თვისებით თანაზომიერი იმ სრულად გარკვეული პიროვნებისა, ვისი ნდობაც იმას უნდა (ორმაგი თანაფარდობის კანონი).

* * *

აუცილებელია ყველაფრის გრძნობის სწავლა: წინადადების სიგრძისა და სიმოკლისა, პუნქტუაციისა, სიტყვათა შერჩევისა, პაუზებისა, არგუმენტების თანამიმდევრობისა – ზუსტად ისე, როგორც რომ ჟესტებისა.

* * *

სტილი უნდა გვიჩვენებდეს, რომ ადამიანს თავისი აზრების სჯერა, რომ ის არა მარტო აზროვნებს, არამედ შეიგრძნობს კიდეც.

* * *

კარგი პროზაიკოსის ტაქტი ის არის, რომ მჭიდროდ მივიდეს პოეზიასთან, ოღონდ არასოდეს არ უნდა გადავიდეს იმის იქით, თუ არა პოეზიის უფაქიზესი გრძნობის ქონის ნიჭიერება, შეუძლებელია ამ ტაქტის ფლობა.

* * *

მკითხველის მხრიდან მსუბუქი გატრიზავების წინასწარ გაფრთხილება არც თავაზიანია და არც კეთილგონივრული. მწერლის მხრივ დიდი თავაზიანობა არის, როცა ის მკითხველს ჩვენი სიბრძნის გამოთქმის შესაძლებლობას აძლევს.

* * *

პოეზიის ისტორიის უდიდესი პარადოქსი ის არის, რომ ყველაფერში ნამდვილი ბარბაროსი იყვე, რაიც მანამდელ პოეტთა სიდიდეს შეადგენს, აგრეთვე თავით ფეხამდე შერყვნილი იყვე და, ამასთანავე, დიდ პოეტად რჩებოდე. ეს ეხება, მაგალითად, შექსპირს, რომელიც სოფოკლესთან შედარებით გვაგონებს მაღაროს, აურაცხელი ოქროთი. ბრპენითა და რიყის ქვით სავსეს, ეს მაშინ, როცა სოფოკლე სავსეა მარტოოდენ ოქროთი, ამასთანავე უკეთილშობილესი ფირმების ოქროთი, რაიც გვავიწყებს თვით ლითონის ფასეულობას.

* * *

გონიერი მწერალი წერს არა რომელიმე მომავლისთვის, არამედ თავისი მომავლისთვის, სახელდობრ თავისი სიბერისთვის, რათა თავი მაშინაც ეამაყებოდეს.

* * *

შემოქმედი, რომელიც მუდმივად ხელს ჰკიდებს ისეთ ამოცანებს, იმის ძალებს რომ აღემატება შედეგად ბრბოს გაიტაცებს გრანდიოზული ბრძოლის სანახაობით, რომელ ბრძოლასაც ის ეწევა: წარმატებას ყოველთვის არ ახლავს მარტოოდენ გამარჯვება, ხანისად გამარჯვების წყურვილი ახლავს.

* * *

პოეტი იძულებულია, რომ ორიდან ერთი აირჩიოს: ან თანდათან აიმაღლოს გრძნობა და ის განსაკუთრებულ სიმაღლემდე აიყვანოს, ან ზარის თოკი მოსწიოს და სცადოს ერთბამად ყოველთა შეცბუნება.

* * *

როს პოეტი გამოთქვამს ყოვლის უფრორე ზოგად და ყოვლის უფრორე ამაღლებულ მოსაზრებებს იმ მოსაზრებათაგან, ხალხი რომ ფლობს, ეს არის ხალხის ხმა ანდა იმისი ფლეიტა, ოღონდ ვინაიდან იგი ამ მოსაზრებებს გამოთქვამს ზომისა და სხვა მხატვრულ ხერხთა დაცვით, ხალხი იმათ აღიქვამს ვითარცა გაუგონარს, უჩვეულოს და სწამს, რომ პოეტის ენა-პირით ღვთაება უბნობს.

* * *

შემოქმედებით გონებადანისლული პოეტი თავადვე ივიწყებს, საიდან აიღო თავის სიბრძნე, როცა სინამდვილეში დედ-მამისგან ერგო, აგრეთვე მასწავლებელთაგან, სხვადასხვა წიგნიდან, პირდაპირ ქუჩიდან და მეტადრე სამღვდელოებისგან.

* * *

სუყოველ მტკიცებას ძალუძს სუყოველ არგუმენტზე უფრორე ძლიერი ზემოქმედება, ყოველ შემთხვევაში, ადამიანთა უმრავლესობაზე, რამეთუ არგუმენტი უნდობლობას აღძრავს. დიახაც ამიტომ სახალხო ორატორნი ცდილობენ თავიანთი არგუმენტების თავიანთი პარტიის მტკიცებულებებით გამაგრება!

## წიგნების თაობაზე

სუყოველ კარგ წიგნს, გამოჩნდება თუ არა, ძელგი გემო აქვს: იმისი ნაკლი სიახლეშია. თვინიერი ამისა, წიგნს ვნებს თვითონ ავტორი, უკეთუ ის ცნობილია და მასზე ისმის რამე: ყველას ჩვევად აქვს ქცეული ავტორის არევა იმისავ ნაწარმოებთან.

* * *

სურნელი წიგნისა, იმისი სიტკბო და ოქროვანი ბრწყინვალება უნდა ძლიერდებოდეს წლებთან ერთად მზარდი დიდი ხნის პატივისცემის ზეგავლენით. ბევრი დრო უნდა მოჭამოს მან, ბევრმა დედაზარდილმა უნდა გახვიოს ის თავის ქსელში.

* * *

კარგი წიგნის ავტორი განეკუთვნება ერთ რომელსამე გარკვეულ მკითხველს და იმისავე ტიპის მკითხველთ და ამიტომ სუყოველი დანარჩენი ადამიანი, უმრავლესობა, იმ წიგნს არაკეთილმოსურნედ ხვდება; ამგვარად, წიგნის დიდება განისვენებს ვიწრო საფუძველზე, რაც შეიძლება რომ ნელინელ, ცოტ-ცოტა იქმნებოდეს.

* * *

წიგნი საშუალო დონისად ან ცუდ წიგნად მაშინ მიიჩნევა, უკეთუ სწადს და ნამდვილად მოსწონს ბევრს.

* * *

ყოვლის უფრორე ცუდი მკითხველნი დამარბეველ ჯარისკაცთ ჰგვანან: ისინი მარტოოდენ აუცილებელს იღებენ იმ წიგნიდან, ყოველსავე დანარჩენს აბინძურებენ და აუწესრიგებენ და დასცინიან.

* * *

კარგი მწერლების ცნობა რამდენიმე ნიშნისდა მიხედვით შეიძლება: ჯერ ერთი, ისინი ამჯობინებენ, რომ მკითხველთ კი არ აკვირვებდნენ, პირიქით, მკითხველნი უგებდნენ, და მეორეც, ისინი სულაც გონებამახვილ და ნამეტანი გამჭრიახ მკითხველთათვის არ წერენ.

* * *

კარგ მოაზროვნეს შეუძლია მარტოოდენ იმ მკითხველთა იმედი ჰქონდეს, ტკბობას კარგ აზრებში რომ პოულობენ. ამდაგვარად, წიგნი, რომელიც ცივი და მოსაწყენი ჰგონიათ, გონიერ მკითხველთა თვალში სინათლის სულიერ სხვათა სიშკაშკაშეს იძენს და ნამდვილ სულიერ ტკბობას ანიჭებს.

* * *

ადამიანი, რომელიც თავის თავს რომელსამე ლიტერატურულ ნაწარმოებში ანდა ხელოვნების ქმნილებაში იცნობს, ვარაუდობს, რომ მშვენიერი რამ ნაშრომია, თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, უკეთუ ესეგვარ ნაწარმოებს სხვანი ცუდ, დამტკბარ და ფახიფუხგარეულად მიიჩნევენ.

* * *

ადვილი საქმე არ არის ისეგვარი წიგნის პოვნა, რომელიც ადამიანს იმდენსავე ბევრს ასწავლიდა, როგორც რომ ჩვენ მიერ დაწერილი წიგნი.

* * *

ავტორს პირის მოკუმვა უხდება იმ დროს, როს იმისი ნაწარმოები სხვებს აღებინებს პირთ.

* * *

სუყოველი მწერალი და პოეტი, რომელთაც დამატებითი ხარისხი უყვართ, ბევრად მეტი უნდათ, ვიდრე სინამვდილეში ძალუძთ.

* * *

პატიოსანი წიგნები მკითხველსაც აპატიოსნებენ, რამეთუ უღვიძებენ მძულვარებასა და ზიზღს, ერთსაც და მეორესაც კი საუკეთესოდ შეუძლია ეშმაკური წინდახედულობის მიმალვა. ადამიანისთვის ბევრად ადვილია წიგნის წინააღმდეგ წასვლა, ვიდრე ადამიანის წინააღმდეგ.

* * *

შემოქმედნი კარგად არიან გაცნობიერებულნი, თუ რას ნიშნავს ზომის, როგორც ხერხის არარსებობის გამოყენება, რაიც სიმდიდრის შთაბეჭდილების შექმნაში ეხმარება. ეს ერთ-ერთი უვნებელი ეშმაკობაა სულების შესაპყრობად, რა ეშმაკობასაც უნდა იცნობდეს სუყოველი შემოქმედი: იმათ სამყაროში, სადაც მთელი არსი ხილვადობაა, სულაც აცუილებელი როდია, რომ ამა ხილვადობის საშუალებანი ალალ-მართალი იყვეს.

* * *

წიგნი, რომელიც გონებით სავსეა, გონებით აჯილდოებს თავის მოწინააღმდეგეთაც.

* * *

ჩვენს დროში ავტორის გვარ-სახელის თავფურცელზე გამოტანა ჩვეულებად და თითქმის მოვალეობად იქცა, მაგრამ ეს წიგნების უმნიშვნელო ზეგავლენის მიზეზია... გონების სიამაყე ის არის, რომ უკვე არ იყვეს ინდივიდუალური.

* * *

ახალგაზრდა კაცისთვის წიგნის გაკრიტიკება იმას ნიშნავს, რომ თავისთან არ მიუშვას იმ კრიტიკის არც ერთი ნაყოფიერი აზრი და ხელ-ფეხით დაიცვას თავისი ტყავი.

## სქესთა ურთიერთობანი

მდედრნი ბევრად უფრორე მგრძნობიარენი არიან, ვიდრე მამრნი, რომელნიც ისეთივე ძალით ვერ აცნობიერებენ მგრძნობელობა, როგორც რომ მდედრთ ახასიათებთ.

* * *

მდედრის სიყვარულის იდეალია ფუნქციად გახდომის სწრაფვაში. მამრის იდეალი ასიმილაცია და განახლებაა ანდა თანალმობა (ტანჯული ღმერთის კულტი).

* * *

მდედრთ არცროდის არა სურთ, რომ თავიანთ თავს გამოუტყდნენ, რაოდენ უყვართ თავიანთი ყოვლის მჯობი მამრი (სახელდობრ მამრი); ამიტომაც აღმერთებენ, ისინი მასში „ადამიანს“ როგორც რომ თავიანთი თავისთვის, ისე სხვათათვის.

**(გაგრძელება იქნება)**

ეროვნული ლიგა

# „დინამო“ გალიდერდა

**საქართველოს ეროვნულ ლიგას 29-ე ტურის შემდეგ ლიდერი შეეცვალა – „დინამო თბილისმა“ „დინამო ბათუმი“ დაამარცხა 1:0.**

ბოლო დროს მოქმედმა ჩემპიონმა ბევრი ქულა დაკარგა და უშუალო კონკურენტთან შეხვედრას ერთადერთქულიანი უპირატესობით შეხვდა, რომლის შენარჩუნებაც ვერ შეძლო.

თამაში დაძაბული გამოდგა და საგოლე მომენტები ორივე გუნდმა შექმნა, რომელთაგან მხოლოდ ერთი, მასპინძლებმა გამოიყენეს. 68-ე წუთზე ნიკოლოზ მალის ფლანგურ გადაცემას თავით დავით სხირტლაძე გამოეხმაურა და როგორც გაირკვა, გამარჯვების გოლი გაიტანა. დარჩენილ დროში ზღვისპირელებმა ანგარიში ვერ გაათანაბრეს და მიმდინარე სეზონში „დინამო თბილისთან“ პირველად წააგეს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან თამაშში.




ეს შეხვედრა ქართული ფეხბურთისთვის ისტორიულიც გამოდგა, რადგან საქართველოს ჩემპიონატში პირველად VAR-ი გამოიყენეს. 79-ე წუთზე სწორედ ვიდეორეფერის დახმარებით მასპინძელთა შემტევი ოსეი ბარნსი გააძევეს. მოგეხსენებათ, აქამდე ეროვნულ ლიგაში VAR-ი არ იყო, ამიერიდან კი წესით ეტაპობრივად უნდა დამკვიდრდეს.

**„დინამო თბილისმა“ 63 ქულა დააგროვა და ორი ქულით გადაასწრო „დინამო ბათუმს“. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი, რომელიც დიდებულ კონდიციებშია, მომდევნო შეხვედრას ბოლნისის „სიონთან“ გამართავს, ხოლო ბათუმელები გორის „დილას“ შეხვდებიან.**

ოვალური ბურთი

# ნიკა ამაშუკელის ზღაპრული ნოემბერი




**ნიკა ამაშუკელს დახუნძლული ნოემბერი ელის. საქართველოს საუკეთესო მსაჯი ნოემბერში ტიერ 1 გუნდების სამ ტესტ-მატჩს და მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის ერთ შეხვედრას იმსაჯებს.**

შემოდგომის ტესტები 29 ოქტომბერს ტოკიოში იაპონიისა და „ოლ ბლექსის“ შეხვედრით იხსნება და თამაშს 28 წლის ქართველი რეფერი განსჯის. მომდევნო კვირაში ის ევროპაში დაბრუნდება და 5 ნოემბერს დუბლინში ირლანდიისა და სამხრეთ აფრიკის მატჩის მთავარი მსაჯი იქნება. ეს შეხვედრა 2022 წლის ნოემბრის ტესტებზე ცენტრალურად ითვლება და სასიამოვნოა მისი გაძლოლა ქართველ რეფერის რომ ანდეს.

ამის შემდეგ ოფიციალური თამაშის დრო დგება. ნოემბერში, დუბაიში, 2023 წლის მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნითი ტურნირი ტარდება, რომელმაც ბოლო მონაწილესთან ერთად, საფრანგეთში „ბორჯღალოსანთა“ მეოთხე მეტოქეც უნდა გამოავლინოს. 12 ნოემბერს პორტუგალია კენიას ეთამაშება და მთავარი მსაჯი ნიკა ამაშუკელი იქნება.

ქართველი რეფერი ნოემბრის სერიას ლონდონში ინგლისისა და „ოლ ბლექსის“ შეხვედრით 19 ნოემბერს ასრულებს, სადაც მას გვერდით მსაჯად ვიხილავთ.

მადლი

# ავთანდილობა ლომთა ხვედრია!




**მართლაც, სად, თუ არა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, უნდა გამართულიყო ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის, არისტოკრატული თამაშის სტილით გამორჩეული ღირსეული კაპიტნის ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომლის თანაორგანიზატორობაც ჩვეული გულისხმიერებით გასწია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ.**

მწვანე მინდვრის რაინდმა, ჩვეულებისამებრ, ამჯერადაც გააერთიანა სააქტო დარბაზში შეკრებილი ძველი გვარდია და მისი ტალანტის თაყვანისმცემლები, რომლებმაც წრფელი სტრიქონებით გაიხსენეს თავიანთი კერპი და კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ბასას ფენომენს. სიმბოლურია, რომ ეს თავყრილობა მისი ძვირფასი მეუღლის – მიმი გეგეჭკორის დაბადების დღეს დაემთხვა.

თხემით ტერფამდე ინტელექტუალსა და სამაგალითო მამულიშვილზე უდიდესი მადლიერების გრძნობით ისაუბრეს გიორგი კვესიტაძემ, როინ მეტრეველმა, ომარ გოგიაშვილმა, ირაკლი მეძმარიაშვილმა, ლევან კობიაშვილმა, არჩილ გოგელიამ, თენგიზ გაჩეჩილაძემ, რომან რურუამ, მალხაზ დოლიძემ, დემიკო ლოლაძემ, თენგიზ ღოღობერიძემ კი მამის ღვაწლის დაფასებისათვის მადლობა გადაუხადა დაუვიწყარი ღონისძიების ინიციატორებსა და დამსწრე საზოგადოებას. შეუმჩნევლად მიილია ორი საათი. კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი!..

ლეგიონერი




# ბითაძის პირველი მატჩი

**გოგა ბითაძემ პირველი საგამოფენო მატჩი ჩაატარა. მისი ინდიანა ნიუ იორკ ნიქსს შეხვდა და დიდი სხვაობით – 114:131 წააგო. შეგახსენებთ, რომ წინა საგამოფენო მატჩში, რომელშიც ინდიანელებმა შარლოტს მოუგეს, ქართველ ცენტრს არ უთამაშია.**

მატჩის ბედი მეორე პერიოდში გადაწყდა, რომელშიც ნიუიორკელებმა არც მეტი არც ნაკლები 46 ქულა ჩააგდეს.

ბითაძისთვის სეზონის პირველი მატჩი ნაყოფიერი იყო: 16 წუთში 5 ქულა, 4 პასი, 2 დაფარება და 8 მოხსნა მოაგროვა, 5-დან 2 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

24 ქულით მატჩის ბომბარდირი ნიუ-ორკელი ტოპინი გახდა. ინდიანა პეისერსი მომდევნო მატჩს 13 ოქტომბერს ისევ ნიუ იორკ ნიქსის წინააღმდეგ გამართავს, ამჯერად ინდიანაში.

წელს ქვემოთ

# IBA-ს გადაწყვეტილებას IOC შეისწავლის

**კრივის საერთაშორისო ასოციაციამ (IBA) მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო – რუს და ბელარუს სპორტსმენებს საერთაშორისო შეჯიბრებებზე ეროვნული დროშით და ჰიმნით გამოსვლის უფლება დართო.**

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) ცნობით, რუსი და ბელარუსი სპორტსმენების დაშვებაზე IBA-ს გადაწყვეტილებას IOC-ის აღმასრულებელი საბჭო უახლოეს სხდომაზე განიხილავს.



25 სექტემბერს გამართული IBA-ს რიგგარეშე კონგრესის დელეგატებმა ასოციაციის ხელმძღვანელის არჩევნების ხელახალ ჩატარებაზე უარი განაცხადეს და სრული ნდობა გამოუცხადეს მაისში სტამბოლის კონგრესზე ახალი ვადით არჩეულ პრეზიდენტს, რუს უმარ კრემლევს.

5 ოქტომბერს IBA-მ რუს და ბელარუს მოკრივეებზე დაწესებული აკრძალვა გააუქმა და მათ საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფო დროშით და ეროვნული ჰიმნით ასპარეზობის უფლება მისცა.

IOC-სა და მსოფლიო კრივის მმართველ ორგანოს შორის დავა კარგა ხანია გრძელდება. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა IBA-ს (მაშინ – AIBA) უფლებამოსილება 2019 წელს შეუჩერა ორგანიზაციის მმართველობასთან, ფინანსებთან, მსაჯობასთან და დოპინგთან დაკავშირებული სადავო თუ საეჭვო ფაქტების გამო. იმავდროულად, კრივის საერთაშორისო ასოციაციას ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე მოკრივეთა ტურნირის ჩატარების უფლება ჩამოერთვა. ტოკიოს ოლიმპიურ რინგზე მიკრივეთა ასპარეზობებს IOC-ის სპეციალური კომისია ხელმძღვანელობდა. ასევე იქნება პარიზის ოლიმპიურ თამაშებზეც.

ფორმულა – 1

# ერთი მოგებაც აწყობს

**„ფერარიმ“ მიმდინარე სეზონი შესანიშნავად დაიწყო – პირველი სამი რბოლიდან ორი შარლ ლეკლერმა მოიგო და თითქოს მარანელოელები ტიტულისთვის ბრძოლის მარათონში დაბრუნდნენ, მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვალა და მომდევნო 15 რბოლაში ლეკლერმა და მისმა თანაგუნდელმა კარლოს საინსმა მხოლოდ თითო გამარჯვების მოპოვება შეძლეს.**

მიზეზი არა მხოლოდ მაქს ფერსტაპენის და „რედ ბულის“ ძლევამოსილი ტანდემია, არამედ ისიც, რომ იტალიური გუნდი (მის პილოტებთან ერთად) ბევრ შეცდომას უშვებს. და არც მისი ტექნიკა გამოირჩევა გამძლეობით. ამის მიუხედავად, ლეკლერი ჩემპიონობის თეორიულ შანსს მაინც ინარჩუნებს, გუნდურ ჩემპიონატში კი მარანელოელებს მეორე ადგილისთვის „მერსედესთან“ მოუწევთ ბრძოლა. საინსი ამბობს, რომ „ფერარიმ“ ძალიან უნდა მოინდომოს, რომ თუნდაც ერთი რბოლის მოგება შეძლოს.

**„ჩვენი მიზანი ისევ რბოლების მოგებაა. ამასთან, მომავალი სეზონისთვისაც უნდა მოვემზადოთ. ამ სეზონში რომელიმე ტიტულის მოგება უკვე არარეალურია და ჩვენ ყურადღებას რბოლების მოგებაზე გავამახვილებთ. ვფიქრობ, ერთიც რომ მოვიგოთ, ეს ბევრ პოზიტიურ ემოციას შეგვძენს, რაც მომავალი სეზონისთვის მზადებისას გამოგვადგება“,** – ამბობს საინსი.

იაპონიის დიდ პრიზთან დაკავშირებით ის ამბობს, რომ მონცასა და სინგაპურში გამოჩნდა, რომ „ფერარის“ „რედ ბულთან“ პაექრობა შეუძლია. **„სუზუკაზე ჩვენ უფრო მეტიც შეგვიძლია. აქ გრძელი სწორი მონაკვეთები, ასევე საშუალო და სწრაფი მოსახვევებია. ეს ყველაფერი ჩვენს მანქანას მიესადაგება. ჩვენ ყველგან სწრაფები ვართ, მაგრამ მთავარია „რედ ბულთან“ შედარებით რამდენად სწრაფები“,** – დასძენს საინსი.





კოსტავების გვარის წარმომადგენლები სამების საკათედრო ტაძართან

# დასანანი უზუსტობა



**ჩვენი გაზეთის 7 ოქტომბრის ნომერში გაიპარა დასანანი უზუსტობა. გაზეთის ორ გვერდზე (მე-6-7 გვ). გამოქვეყნებულ „ხელიხელსაგოგმანებ ტრადიციებში", კოსტავებისა და თევზაძეების გვარებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში კოსტავების საგვარეულოს წარმომადგენელთა ფოტოები გამოქვეყნდა თევზაძეების გვარების ისტორიისადმი მიძღვნილ ვრცელ მასალაში.**

**რა თქმა უნდა, ეს შეცდომა მოწოდებული მასალების კონკრეტულ ავტორთა ბრალია, მაგრამ... რედაქცია მაინც ბოდიშს უხდის კოსტავების საგვარეულოს წარმომადგენლებს და გაზეთის დღევანდელ ნომერში აქვეყნებს ერთ ყველაზე შთამბეჭდავ ფოტოკადრს...**

# „პალიასტომის" ღვთისმშობლის ხატი

**11 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს პალიასტომის (ფოთის) ღვთისმშობლის ხატის ხსენებას. ...ცნობილია, რომ „პალიასტომის" ეს უძველესი ხატი კოლხეთის უძველესი ქალაქის ფაზისის საკათედრო ტაძარში იყო დაბრძანებული.**



ნიშანდობლივია ისიც, რომ დაახლოებით VII-IX საუკუნეებში ეს ტაძარი ჩაიძირა და ახლა იქ პალიასტომის ტბაა. იმასაც კი ამბობენ, რომ ტაძრის ჩაძირვამდე მის წინამძღვარს ღვთისმშობლის ხატი მრავალგზის გამოეცხადა და ხატის გელათში გადაბრძანება უბრძანა; (ამჟამად ხატი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმშია).

აი, რას ვკითხულობთ **„პალიასტომის" ხატის შესახებ: „წინათ ეს ხატი გურიის ციხე-ქალაქ პალიასტომის საკრებულო ტაძარში იდგა. საყდრის მთავარ-ხუცესმა ხსენებული ხატის შთაგონებით ჩვენება იხილა: თითქოს ღვთისმშობელმა მარიამმა უთხრა, რომ ტაძრიდან შესულიყო და მისი ყოვლადწმიდა ხატი პალიასტომიდან გამოეტანა, რადგან ციხე-ქალაქს წყალში ჩაძირვა ელისო"...**

მთავარხუცესს სიზმრისთვის ყურადღება არ მიუქცევია და არც სხვისთვის გაუგებინებია ამის თაობაზე. „პალიასტომის" ხატი წარღვნას გადაურჩა — თურმე ჰაერში მოდიოდა უხილავად, თავისუფლად... ..და, როდესაც მთავარხუცესმა სასწაული დაინახა და ცოდვების მოსატევებლად მუხლებზე დაიჩოქა, ხატი ჰაერიდან მის ხელებში მიესვენა". სასწაულმოქმედი პალიასტომის ხატი დავით მეფის შვილიშვილს — მეფე გიორგის ქუთაისში გადაუბრძანებია და მას შემდეგ ქუთაისის ხატსაც ეძახიან.

**გიული ლიპარტია**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები სულითა და გულით, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს ჩვენს კოლეგას, გაზეთის ერთგულ ავტორს, რუბრიკა „სულიერების" წამყვანს, უკეთილშობილეს პიროვნებას ქალბატონ გიული ლიპარტიას.

**ღმერთმა ჯანმრთელობა ნუ მოაკლოს ღვთისმოსავ ქალბატონს!**

# გელათი ბოლომდე განიკურნება!

## კულტურის სამინისტროს მოწვევით, გელათის სამონასტრო კომპლექსს ICOMOS/ICCROM -ის მრჩეველთა ერთობლივი მისია ეწვევა



**კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მოწვევით, 28 ნოემბრიდან 2 დეკემბრის პერიოდში საქართველოს UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ICCROM (ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო) და ICCROM-ის (კულტურული ფასეულობების დაცვისა და რესტავრაციის საერთაშორისო ცენტრი) მრჩეველთა ერთობლივი მისია ეწვევა.**

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, სამინისტრომ UNESCO-ს ხელმძღვანელობას ივლისში წერილობით მიმართა და აღნიშნა, რომ მადლიერია ICCROM-ის, რომელმაც საქართველოს წერილობით გაუწია დახმარება, მაგრამ ასევე სთხოვს მას, ადგილზე გაეცნოს ვითარებას, შეაფასოს ქართული მხარის მიერ UNESCO-ს ექსპერტების ჩართულობით ჩატარებული სამუშაოები და გასცეს შემდგომი რეკომენდაციები.

**„მოწვევის პარალელურად, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ UNESCO-ს ხელმძღვანელობას გაუგზავნა მიმდინარე წლის მაის-ივნისში გელათის სამონასტრო კომპლექსის ძირითადი ტაძრის დასავლეთ მკლავზე ჩატარებული სამუშაოების შესახებ დეტალური ანგარიშები.**

**კერძოდ, მიმდინარე წლის 27-31 მაისს გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობის ტაძრის დასავლეთ მკლავზე ახალი დროებითი გადახურვის მოწყობის პროცესს UNESCO-ს მაღალკვალიფიციურმა ექსპერტებმა გაუწიეს ზედამხედველობა.**

**საგანგებოდ ამ მიზნით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მოწვევით, გელათში იმყოფებოდნენ ძეგლის გადახურვის სპეციალისტები — პროფესორი უგო ტონიეტი და სარა სტეფანინი, რომლებმაც ქართველი სპეციალისტების მიერ დროებითი გადახურვის მოსაწყობად ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოები შეაფასეს და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე, გელათში იმყოფებოდნენ კლიმატოლოგი ალესანდრო მასარი და კედლის მხატვრობის სპეციალისტი მარიო პულიერი.**

**ორივე მათგანი დროებითი გადახურვის მოწყობის პროცესი საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე შეაფასეს კერძოდ, ალესანდრო მასარიმ ტაძარში ტენიანობის მონიტორინგი განახორციელა, ხოლო მარიო პულიერი კედლის მხატვრობის მდგომარეობას უწევდა მონიტორინგს.**

**აღსანიშნავია, რომ 22 ივლისის წერილის პასუხი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ UNESCO-სგან 29 სექტემბერს მიიღო. წერილში საერთაშორისო ორგანიზაცია სამინისტროს აცნობებს, რომ მიმდინარე წლის 28 ნოემბრიდან 2 დეკემბრის პერიოდში საქართველოს ეწვევა ICOMOS/ICCROM-ის მრჩეველთა ერთობლივი მისია შემდეგი შემადგენლობით: ალკივიადეს პრეპისი — ICCROM-ის მრჩეველი არქიტექტურის მიმართულებით, ვალერი მაგარი — ICCROM-ის პროგრამების განყოფილების მენეჯერი (კედლის მხატვრობის სპეციალისტი) და ირენა კაკეტი — UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ( WHC) ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის პროგრამების სპეციალისტი.**

**ამავე წერილში UNESCO მადლობას უხდის საქართველოს კულტურის სამინისტროს წერილთან ერთად მიწოდებული ანგარიშების გაზიარებისთვის და აღნიშნავს, რომ მათ მიერ ნოემბრის თვეში მოვლინებული ექსპერტები მოცემულ მასალას საქართველოში მისიის მომზადებისთვის გამოიყენებენ",** — აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ღვინოზისთვის მთავარი ღონისძიება

## 15 ოქტომბერს გურჯაანი ღვინის ფესტივალს უმასპინძლებს

**კახეთის მთავარი მოვლენა „გურჯაანის ღვინის ფესტივალი" 15 ოქტომბერს, გურჯაანში, ახტალის პარკში, უკვე მეოთხედ გაიმართება.**

წელს, ფესტივალი 300-ზე მეტი მეღვინის სხვადასხვა ტიპის, ფერისა და ასაკის ღვინოს, ჭაჭასა და სხვა სასმელებს გააერთიანებს, რომელსაც სპეციალურად ღვინის ფესტივალისთვის შექმნილი კულინარიული სივრცე, მოწვეული შეფებითა და ადგილზე შექმნილი ავთენტური კერძებით დაამშვენებს. ფესტივალი იქნება თავშესაქცევი, მათრობელა და სასიამოვნო მუსიკით შთაგონებული, შემოდგომის ფერებით აჭრელებულ ულამაზეს რეკრეაციულ ზონაში, სადაც ნებისმიერი ასაკის ადამიანი შეძლებს საინტერესოდ გაატაროს დრო მეგობრებისა თუ ოჯახის თანხლებით.

**გურჯაანის ღვინის ფესტივალი 14:00 საათზე დაიწყება, სადაც სტუმრებს საშუალება ექნებათ, ქართული მრავალხმიანი სიმღერის ფონზე, მონაწილეობა მიიღონ ჩურჩხელის ამოვლებასა და ყურძნის დაწურვაში, ჭაჭისა და ღვინის დეგუსტაციაში, სპორტულ შეჯიბრებებსა და სხვა გასართობ თამაშებში. ახტალის პარკში აქტივობები ერთდროულად რამდენიმე ლოკაციაზე გაიმართება, როგორიცაა ეთნო სივრცე, თათარაობის და მეღვინეობის სივრცე, ბავშვთა**



**გასართობი ზონა, სპორტული აქტივობები და სხვა.**

წელს, გურჯაანის ღვინის ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2022 წლის 15 ოქტომბერს, მეღვინეობის ქალაქში გამართული გურჯაანის ღვინის მე-4 ფესტივალი ფიროსმანს და ღვინით შთაგონებულ ყველა ადამიანს მიეძღვნას.

ფესტივალის პატარა სტუმრების განწყობაზე ანიმატორები იზრუნებენ, მათთვის ასევე წარმოდგენილი იქნება სპეციალური გასართობი პროგრამები, ილუზიონისტების და ანიმატორების შოუ, თოჯინების თეატრი, ბუშტების შოუ, თიხის საჩვენებელი ძერწვა, კარიკატურების შექმნა, ხელნაკეთი ნივთების მასტერკლასი, სახეზე ხატვა და სხვადასხვა საბავშვო თამაში. ფესტივალის ფარგლებში, წარმოდგენილი იქნება სპეციალურად შექმნილი საშემოდგომო, ისტორიული და კულინარიული პავილიონები, ღვინის ბარი. ასევე, მოეწყობა ხილისა და ბოსტნეულის, კახური ტკბილეულისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

გურჯაანის ღვინის ფესტივალი 2022, ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში იმართება და მისი მხარდამჭერები არიან: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო და სხვა კომერციული ორგანიზაციები. ფესტივალის მიზანია ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ღვინის კულტურისა და ქართული ტრადიციების გაცნობა, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი საზოგადოებისთვის. წელს, გურჯაანის ღვინის ფესტივალი, 30 000-ზე მეტ შიდა თუ საერთაშორისო ტურისტს უმასპინძლებს.




# „ფიროსმანია სიღნაღში“

**— ამ სახელწოდების ფესტივალი სიღნაღში წელს პირველად გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და სიღნაღის მერიას შორის მემორანდუმი გაფორმდა. მიზანი თემატური და კულტურული მარშრუტის დაფუძნებაა, რომელიც ფიროსმანის შემოქმედებასა და მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს მოიცავს.**

დღესვე, ქალაქის ცენტრში, ნიკო ფიროსმანის მონუმენტი გაიხსნა, რომლის ავტორიც გიორგი წულაძეა. გარდა ამისა, ღია ცის ქვეშ თანამედროვე ავტორთა ნამუშევრების და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა მოეწყობა.




# ომის ქარცეცხლში გახვეული მსოფლიო და ნობელის პრემია

**მშვიდობის დარგში 2022 წლის ნობელის პრემია უკრაინელ, ბელარუს და რუს უფლებადამცველებს გადაეცათ.**

პრემია რუსულმა „მემორიალმა“, უკრაინულმა სამოქალაქო თავისუფლებების ცენტრმა და ბელარუსის ადამიანის უფლებათა ცენტრ „ვესნას“ დამფუძნებელმა, ალეს ბელიაცკიმ გაინაწილეს.

**„მშვიდობის დარგში პრემიის ლაურეატები წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოებას თავიანთ ქვეყნებში. ისინი მრავალი წლის განმავლობაში ხელს უწყობდნენ მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დაცვას. მათ განსაკუთრებული ძალისხმევა გამოიჩინეს ომის დანაშაულების, ადამიანის უფლებების დარღვევისა და უფლებამოსილების გადამეტების დოკუმენტაციის საქმეში. ისინი მშვიდობისა და დემოკრატიისთვის სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობას ცხადყოფენ“,** — ნათქვამია ნობელის კომიტეტის განცხადებაში.

# ხანძარმა აღდგომის კუნძულის მსოფლიო მემკვიდრეობა გაანადგურა

**ხანძარმა აღდგომის კუნძულის ცნობილი ქანდაკებები დააზიანა, ზოგიერთი მათგანის აღდგენა შეუძლებელი იქნება.**

ხანძარი 60 ჰექტარ ფართობზე გავრცელდა. ყველაზე მეტად დაზიანდა ვულკან რანო-რარაკუს მიმდებარე ტერიტორია, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი.



# ევროვიზია 2023 – ლივერპულში

ამის შესახებ „ბიბისის“ ეთერში ტელეწამყვანმა გრემ ნორტონმა განაცხადა.




**წელს ევროვიზიის მუსიკალური კონკურსი უკრაინაში უნდა გამართულიყო, თუმცა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ევროპის მაუწყებელთა კავშირმა ღონისძიების გამართვა დიდ ბრიტანეთში გადაწყვიტა. დასკვნით ეტაპზე კონკურსის მასპინძლობისთვის ორი ქალაქი, ლივერპული და გლაზგო იბრძოდნენ. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ლიზ ტრასმა მიულოცა ლივერპულს გამარჯვება და პირობა დადო, რომ წელს კონკურსზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უკრაინულ კულტურას.**

ამასთან, უკრაინის წარმომადგენელი წელს ევროვიზიის ფინალურ ეტაპზე ავტომატურად მოხვდება. ცნობისთვის, ევროპის მაუწყებელთა კავშირის გადაწყვეტილებით, რუსეთი ევროვიზიის სიმღერის კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებს.



# ლუკაშენკომ ბელარუსში ფასების ზრდა აკრძალა

**ბელარუსის პრეზიდენტმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ 6 ოქტომბრიდან ბელარუსში ფასების ზრდა აკრძალა,** — ამის შესახებ მან მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრებთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადა. ბელარუსის სახელმწიფო სააგენტოს ცნობით, შეხვედრაზე განიხილებოდა ინფლაციასთან დაკავშირებული მწვავე საკითხები.

**„ბელტა“ წერს, რომ „ლუკაშენკომ გააკრიტიკა ის პირები, ვინც პასუხისმგებლები არიან ბელარუსში ფასების ზრდის კონტროლზე, რის გამოც საქმეში მისი ჩართვა გახდა საჭირო“.**

ლუკაშენკომ ასევე მოითხოვა, რომ ფასების ზრდის აკრძალვამ არ უნდა გამოიწვიოს ობიექტების დახურვა და ბაზრიდან გასვლა. მისივე თქმით, ბრძანების შესრულებას ზედამხედველობას გენერალური პროკურორი და სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე გაუწევენ.

# საფრანგეთი მოქალაქეებს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ დატოვონ ირანი



ამის შესახებ საგანგებო განცხადება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. **„ნებისმიერი ფრანგი მოგზაურის, მათ შორის ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების მიმართ, არსებობს დაკავების და უსამართლო გასამართლების მაღალი რისკი“,** — აცხადებენ უწყებაში. მათივე განცხადებით, ამ კონტექსტში თეირანში საფრანგეთის საელჩოს შესაძლებლობები, უზრუნველყოს ირანში დაკავებული ფრანგების საკონსულო დაცვა, ძალიან შეზღუდულია.

# პუტინს დასავლეთთან ახალი დიდი შეთანხმების დადება სურს...

**„როგორც ჩანს, უკრაინაში რუსეთის ომი კიდევ გარკვეული დროის განმავლობაში გაგრძელდება. ახლა საკითხავი ისაა, რამხელა ზიანი იქნება მიყენებული იქამდე, ვიდრე მოლაპარაკებები განახლდება. ჩვენი აზრით, ვლადიმირ პუტინს დასავლეთთან ახალი დიდი შეთანხმების დადება სურს. ნაწილობრივ ეს უკრაინასაც შეეხება, მაგრამ საუბარია რუსეთსა და დასავლეთს შორის გაცილებით ფართო შეთანხმებაზე. მოსკოვი თვლის, რომ „ცივი ომის“ შემდეგ გაფორმებული შეთანხმებები, ჯერ მიხაილ გორბაჩოვის, შემდეგ კი ბორის ელცინის მიერ, აღარ გამოხატავს დღევანდელ რუსეთს. არსებობს ახალი რუსეთი, ახალი მსოფლიო, ახალი რეალობა და მათ ახალი შეთანხმების დადება სურთ“,** — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა იბრაჰიმ კალინმა.

რუსეთის მიერ უკრაინის ოთხი ოკუპირებული რეგიონის ანექსიის შემდეგ ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ კიევი არ განაახლებს მოლაპარაკებებს მოსკოვთან, ვიდრე კრემლის ლიდერი პუტინი იქნება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 12 ოქტომბერს**

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7997; ევრო - 2.7429
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1340;
100 რუბლი - 4.5710; თურქული ლირა - 0.1507;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6512;
1000 სომხური დრამი - 6.9428.

**ამინდი 10 ოქტომბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +11, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +21 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12 | დღე +24 |
| თბილისი: | ღამე | +16, | დღე +21 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge